მუშათა ყველა ქვეყანანო, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 16 ოქტომბერი 1940 წ. № 241 (5942) ფასი 10 კაპ.

ბოლშევიკურად აღვზარდოთ ახალგაზრდა კომუნისტები

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ მიღებულმა პარტიის წესდებამ გაადვილა ყველაზე აქტიურ, ყველაზე მოწინავე თავდადებულ ადამიანთა შერჩევა პარტიის რიგებში მისაღებად. პარტიაში მიღების ერთნაირი პირობების დაწესება როდი ნიშნავს იმას, რომ პარტია ნაკლებ მოითხოვნას უყენებს მის რიგებში შემსვლელთ. პარტია ლენინურ-სტალინური ნაკადი პრინციპის — მხოლოდდამხოლოდ ინდივიდუალური შერჩევის წესით იღებდა და იღებს თავის რიგებში კომუნიზმის საქმისადმი ბოლომდე ერთგულ და თავგანწირულ ამხანაგებს.

დიდი სტალინი XVIII პარტყრილობაზე გენიალური სიცხადით კვლავ მოითხოვდა პარტიის რიგებში ახალ წევრთა მიღების დროს ინდივიდუალური შერჩევის პრინციპის განუხრელად გატარების აუცილებლობას და მის ძალაში დატოვებას.

ცნობილია, რომ თვითეულმა პირმა, რომელსაც სურს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის რიგებში შესვლა, უნდა გაიაროს საკანდიდატო სტაჟი. ის, ვინც პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულია, გადის იმის სერიოზულ შემოწმებას, ღირსია თუ არა იგი საკ. კ. პ. (ბ) წევრის მაღალი სახელწოდებისა. მსოფლიო მუშათა კლასის გენიოსი ბელადი ლენინი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საკანდიდატო სტაჟს. ლენინი ამხანაგ გ. მოლოტოვისადმი გაგზავნილ წერილში 1922 წელს გადაჭრით მოითხოვდა, რომ საჭიროა „შემუშავდეს და მტკიცედ იქნას გამოყენებული ისეთი წესები, რომლებიც სტაჟს ნამდვილად გახდიდნენ უაღრესად სერიოზულ გამოცდად და არა ცარიელ ფორმალობად“.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მთლიანად უნდა გამოიყენონ საკანდიდატო სტაჟი, როგორც სერიოზული გამოცდა იმისათვის, ვისაც სურს საკ. კ. პ. (ბ) წევრად შესვლა. საკანდიდატო სტაჟის მიზანია: პირველი ის, რომ პარტიის წევრობის თვითეულმა კანდიდატმა საკანდიდატო სტაჟის გავლის დროს გაიაროს ბოლშევიკური პარტიულობის სკოლა, გაეცნოს პარტიის პროგრამას, წესდებასა და ტაქტიკას. მეორე—საკანდიდატო სტაჟის გავლის დროს პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა შეამოწმოს პარტიის წევრობის კანდიდატის პოლიტიკური და საქმიანი თვისებები და ყოველმხრივ გამოსცადოს ის პრაქტიკულ სამუშაოზე.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის შემდგომი აღმავლობის საფუძველზე საგრძნობლად გაუმჯობესეს ახალგაზრდა კომუნისტების ბოლშევიკურად აღზრდის საქმე. პირველადი პარტიული ორგანიზაციები პარტიის რიგებში ახლად მიღებულ ამხანაგებს აქტიურად აბამენ პარტიულ მუშაობაში, აძლევენ პარტიულ დავალებებს და ეხმარებიან მათს შესრულებაში, უნერგავენ მათ ბოლშევიკური ორგანიზებულობისა და პრინციპულობის ჩვევებს, ეხმარებიან აგრეთვე „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ საფუძვლიანად შესწავლის საქმეში.

ყოველივე ამან დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდა კომუნისტების ბოლშევიკურად გამობრძმედას პრაქტიკულ საქმიანობაში. ამის შედეგად აღიზარდნენ ახალგაზრდა კადრები—სტალინური წრთობის ეს ახალი ადამიანები, რომლებიც თავგანწირულად მუშაობენ დიადი სოციალისტური სამშობლოს სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

მაგრამ ყველგან ასე როდი ზრუნავენ ახალგაზრდა კომუნისტების და კერძოდ პარტიის წევრობის კანდიდატთა ბოლშევიკურად აღზრდისათვის. ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას ავიწყდება, რომ საჭიროა პარტიის რიგებში ახლად მიღებულთა შორის სათანადო პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება, არ იყენებენ საკანდიდატო სტაჟს პარტიის წევრობის კანდიდატების ბოლშევიკურად გამოწრთობისათვის.

მაგალითად, თბილისის სახანძრო ტექნიკუმის პარტიულად პარტიულ ორგანიზაციაში ირიცხება პარტიის წევრობის 34 კანდიდატი. მათი ბოლშევიკურად აღზრდისათვის პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად ზრუნავს, არ აბამს მათ პარტიულ მუშაობაში და არც დავალებებს აძლევს, ერთი სიტყვით აქ უგულებელყოფენ პრაქტიკულ სამუშაოზე პარტიის წევრობის კანდიდატთა ბოლშევიკურად აღზრდის საქმეს. პარტიის წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან ამხ. კ. ალპიევი აცხადებს: „გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ ცუდად ვმუშაობ საკუთარ თავზე, ამ საქმეში ნაკლებად მეხმარება პარტიული ორგანიზაცია“. ცხადია, პარტიული ორგანიზაციის ასეთი მუშაობით ჩვენ ვერ აღვზრდით ახალგაზრდა კომუნისტებს ისე, როგორც ეს საჭიროა და აუცილებელი, ვერ ჩავუნერგავთ მათ ბოლშევიკური პარტიულობისა და ორგანიზებულობის ჩვევებს.

პარტიის წევრობის კანდიდატთა ბოლშევიკურად აღზრდის საქმე ცუდად აქვს დაყენებული ზოოპარკის პირველადს პარტორგანიზაციას. ამ ორგანიზაციაში ირიცხება პარტიის წევრობის 5 კანდიდატი, რომლებიც ცუდად მუშაობენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. პარტიის წევრობის კანდიდატს ამხ. რ. არაქელოვს სრულიად არა აქვს წარმოდგენა პარტიის წესდებასა და პროგრამაზე. კითხვაზე თუ რა ცვლილებებია პარტიის წესდებაში შეტანილი და ვინ დაამტკიცა ეს ცვლილებანი წესდებაში, უპასუხებს: „1940 წელს თბილისის კომიტეტმა დაამტკიცა ახალი შესწორებული წესდება“ (?!!), ხოლო „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლის შესახებ ის აცხადებს: „წიგნის და დროის უქონლობის გამო ჯერ არ წამიკითხავს ისტორია, მხოლოდ ახლა შემპირდა მდივანი წიგნს და წავიკითხავო“. ასევე სუსტად მუშაობენ თავიანთი იდეურ - პოლიტიკური დონის ასამაღლებლად პარტიის წევრობის კანდიდატები: ლალაიშვილი და ობოლაშვილი.

ეს ყველაფერი გამოწვეულია იმით, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად ეხმარება პარტიაში ახლად მიღებულ ამხანაგებს მარქს - ენგელს - ლენინ-სტალინის გენიალური მოძღვრების დაუფლების საქმეში. აქტიურად არ აბამს მათ პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში და, რაც მთავარია, პარტიულ-აღმზრდელობითს მუშაობაში მტკიცედ არ ატარებს ახალგაზრდა კომუნისტებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას. ამიტომ არის, რომ აქ პარტიის წევრობის ხუთი კანდიდატიდან ხუთივე ამხანაგი სტაჟგადაცილებულია.

პარტიის წევრობის კანდიდატებთან სუსტად მუშაობენ აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, სასტუმრო თბილისისა და რად

ორი უნივერსიტეტის შეჯიბრება

მესამე აკადემიური წელიწადია, რაც სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი ორი მომმე რესპუბლიკის უნივერსიტეტები — თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ტ. შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამ ორი დიდი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლობა, სტუდენტობა დიდის ენტუზიაზმით ასრულებს აღებულ ვალდებულებებს და მით ანვითარებს იმ მიღწევებს, რაც საქართველოსა და უკრაინის მრეწველობის მუშაკებსა და კოლმეურნეებს აქვთ მოპოვებული ურთიერთშორის სოციალისტურ შეჯიბრების გაწლის საფუძველზე.

სოციალისტური შეჯიბრების დაწყების შემდეგ უნივერსიტეტებს შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა. ჩვენგან ორი დელეგაცია უკვე იყო კიევში: ერთი პროფ. ნ. ქოიავას, მეორე — აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფ. გ. ბაჭაპურიძის ხელმძღვანელობით. დელეგაციები დაწვრილებით გაეცნენ კიევის უნივერსიტეტის მუშაობას, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება.

ასევე 1939 წლის პირველი მაისის დღესასწაულში ჩვენს უნივერსიტეტს ეწვივნენ კიეველი ამხანაგები — უნივერსიტეტის რექტორის ამხ. ა. რუსკოს ხელმძღვანელობით. დელეგაციამ საჩუქარი მოუტანა ჩვენს უნივერსიტეტს — ძვირფასი ლიტერატურა და, რაც მთავარია, მშვენივრად შესრულებული მხატვრული სურათი უკრაინის დიდი სახალხო პოეტის—შევჩენკოსი, რომლის სახელსაც კიევის უნივერსიტეტი ატარებს. დელეგაცია დაწვრილებით გაეცნო ჩვენი უნივერსიტეტის მუშაობას, ქალაქ თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს, რომლებიც დაკავშირებულია ამხანაგ **სტალინის** მუშაობასთან, იყო გორში დიდი ბელადის სახლის დასათვალიერებლად, მიიღო მონაწილეობა მაისის დღესასწაულში.

ორივე უნივერსიტეტის ფრიადოსანი სტუდენტები ყოველწლიურად ეწვევიან ერთმანეთს. ორივე უნივერსიტეტს აქვს დასასვენებელი სახლები, სადაც საგზურების გაცვლით ისვენებენ პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. თვითმმქმედი წრეები სწავლობენ მომმე ხალხების სიმღერებს, ცეკვებს. ჩვენს უნივერსიტეტში გაიზარდა უკრაინის ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლის სურვილი, ისე საქართველოსი — კიევის უნივერსიტეტში. სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში ისმენენ ჩვენთან—თემებს უკრაინის ისტორიის, ლიტერატურის შესახებ, ისე მათთან — საქართველოს ისტორიის საკითხებზე. კიევის დელეგაციის ყოფნის დროს ჩვენთან კიევის უნივერსიტეტის სტუდენტმა ამხ. ბერნადსკიმ ისტორიის სამეცნიერო წრეში მშვენიერი მოხსენება გააკეთა ლადო კეცხოველის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ორივე უნივერსიტეტის პარტიულს, კომკავშირულსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს მჭიდრო, საქმიანი კავშირი აქვთ ერთმანეთთან. კიევის მეცნიერი მუშაკები მოდიან ჩვენთან კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მაგ., ვ. ვობლიმ ჩვენთან დაიცვა შარშან დისერტაცია ეკონომიურ მეცნიერებათა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. „თბილისის' უნივერსიტეტის შრომებში" იბეჭდება კიევის მეცნიერმუშაკების სტატიები. მაგ. უკვე დაიბეჭდა ა. ვედენსკის ორი სტატია, პ. ლავროვის — ერთი სტატია. ისე ჩვენი მეცნიერი მუშაკები აგზავნიან სტატიებს კიევის უნივერსიტეტის შრომებში მოსათავსებლად.

საქმიანი კავშირი დამყარდა ცალკე ფაკულტეტებს შორის: ისტორიის და ქიმიის ფაკულტეტები ჩაბმულნი არიან ურთიერთ შორის შეჯიბრებაში. სტუდენტობას ხშირი მიწერ-მოწერა აქვს ერთმანეთთან.

შეჯიბრების პირველი წლის შედეგების გამომრკვევ ჟიურის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ: „ორივე უნივერსიტეტის ცხოვრებაში შეჯიბრებამ უდიდესი როლი ითამაშა პარტიის და მთავრობის დადგენილებათა განხორციელების საქმეში უმაღლეს სკოლის მუშაობის შესახებ, რომ ორივე უნივერსიტეტმა დიდ შედეგებს მიაღწია ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ნიადაგზე". ჟიურიმ პირველი და მეორე ადგილი გაუყო ორივე უნივერსიტეტს. დაიდო ახალი ხელშეკრულება. ორივე უნივერსიტეტის კოლექტივი უდიდესი ენტუზიაზმით შეუდგა ბრძოლას პირველი ადგილისათვის. შედეგების დაწვრილებითი შეჯამება ახლა ხდება და ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულისათვის გამოირკვევა თუ როგორი იქნება ამ ბრძოლის შედეგი.

აი, მოკლედ თუ როგორ ვასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს. მივალწიეთ იმას, რომ თავის დროზე გვაქვს სასწავლო გეგმები და პროგრამები. ამ ორი წლის განმავლობაში დაიბეჭდა 25 სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. იმატა აკადემიურმა წარმატებამ, გაიზარდა მოთხოვნილება სტუდენტების შიმართ, სახელმწიფო გამოცდებზე გამოცხადება უკეთესია, გაუმჯობესდა გამოშვებული სპეციალისტების ხარისხი.

ვცდილობთ სამეცნიერო-საკვლეო მუშაობის თემატიკა დავუახლოვოთ III ხუთწლედის ამოცანებს, სამეცნიერო სესიების მუშაობა სისტემატური გავხადოთ. რაც მთავარია, გარდატეხა მოხდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობაში. მოეწყო სტუდენტთა ორი სამეცნიერო კონფერენცია, რომლებზედაც 200 მოხსენება იქნა მოსმენილი. სტუდენტთა საუკეთესო შრომებიდან ნაწილი დაიბეჭდა, ნაწილი ახლა გამოვა ცალკე ტომად.

ნორმალურ კალაპოტში ჩადგა „უნივერსიტეტის შრომების" გამოცემა. თუ წინათ წელიწადში ერთი ტომი ძლივს გამოდიოდა, ახლა „შრომები" სისტემატურად იბეჭდება ყოველთვიურად. 1940 წელს, მაგალითად, უკვე გამოვიდა 5 ტომი (2 ტომი ამ დღეებში გამოვა).

დიდ მუშაობას ვეწევით მეცნიერების მონაპოვართა პოპულარიზაციის დარგში. უნივერსიტეტის ლექტორიუმი ენერგიულად მუშაობს წითელი არმიის სახლში, ფაბრიკა-ქარხნებში, მასწავლებელთა სახლში და კოლმეურნეობებში ლექციების ჩატარებით.

ჩვენი უნივერსიტეტის კოლექტივმა იცის, რომ მის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

ორი უნივერსიტეტის შეჯიბრება დიდი მნიშვნელობისაა. უკრაინის და საქართველოს ხალხთა ბედი ისტორიულად მსგავსი ხაზებით მიდიოდა. ცარიზმი ორივე ქვეყანაში ქმნიდა პირობებს, რომ გადაეგვარებინა ორივე ხალხი. ორივე ქვეყნის მოწინავე პირები ყოველთვის ცდილობდნენ კავშირი დაემყარებინათ ორივე ხალხს შორის, რომ გაადვილებული ყოფილიყო ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ. მაგრამ ნამდვილი კავშირის დამყარება მხოლოდ სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების შედეგად გახდა შესაძლებელი. ამ შედეგს დღეს ნათლად ვხედავთ ხალხთა სტალინური მეგობრობის განმტკიცებაში.

დ. ყიფშიძე

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

მზადება პროფორგანიზების ანგარიშგება-არჩევნებისათვის

საქართველოს მეღსანშრომის კავშირში

საქ. პროფსაბჭოს სპეციალური განკარგულებით საქ. მეღსანშრომის კავშირში ძირეული პროფორგანოების ანგარიშგება და არჩევნები მიმდინარე წლის ნოემბერში უნდა ჩატარდეს.

საქ. მეღსანშრომის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ძირეული პროფორგანოებში ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების კალენდარული გეგმა, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ-ოსეთისა და ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის მეღსანშრომის კავშირის სახაზო კომიტეტში ანგარიშგება-არჩევნები ჩატარდება 1—20 ნოემბრამდე, ფოთისა და ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციებში— 1—10 ნოემბრამდე, თბილისში — 1—20 ნოემბრამდე, ხოლო დანარჩენ რაიადგილკომებში — 1—15 ნოემბრამდე.

კავშირის ყველა ხელმძღვანელ ორგანოს დავალებული აქვს ანგარიშგება - არჩევნებთან დაკავშირებით არასამუშაო საათებში მოიწვიონ პროფაქტივის კრებები და სათანადოდ გააცნონ ანგარიშგება-არჩევნების წესი.

თბილისში პროფაქტივის საქალაქო კრება მოწვეული იქნება 18 ოქტომბერს.

ანგარიშგებისა და არჩევნებისათვის მოსამზადებლად გამოყოფილია პასუხისმგებელი ამხანაგები კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წევრთა შემადგენლობიდან.

მეღსანშრომის კავშირის კლუბებში, კულტურის კუთხეებში მოეწყობა კონსულტაციები, საუბრები, ინფორმაციები და პროფკავშირული ლიტერატურის გამოფენა ანგარიშგება-არჩევნების საკითხებზე.

თბილისის დეპოს კოლექტივი ემზადება ნიენდენპროვსკის კვანძთან დადებულ სოციალისტური შეჯიბრების შეჯამებისათვის. **სურათზე:** სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი (მარცხნიდან მარჯვნივ) — მემანქანე ინსტრუქტორი ორდენოსანი გ. ი. მელქაძე, სახალხო მატარებლის კრივონოსელი მემანქანე გ. ლ. პაქსაშვილი, დეპოს უფროსის მოადგილე თ. რ. გაგნიძე და I კლასის კრივონოსელი მემანქანე შ. თ. კოხრეიძე.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

თბილისის მაუდის ფაბრიკის მუშათა წინასაოქტომბრო შეჯიბრება

თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის „საბჭოთა საქართველოს" კოლექტივი წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება. საამქროები, ბრიგადები, მოწინავე სტახანოველები ემზადებიან, რათა ღირსეულად შეხვდნენ მშრომელთა დიად დღესასწაულს.

წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში წინ არის საქსოვი საამქრო, რომელიც ჩამორჩენილთა რიგებში იყო ამ ცოტა ხნის წინათ. საამქროს მუშები დღითიდღე ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. 4 ოქტომბერს გეგმა 106 პროცენტით შესრულდა, 5 ოქტომბერს—111,8 პროცენტით. მქსოველი ამხ. ღვინიაშვილი, რომელიც 3 დაზგაზე მუშაობს, დავალებას 115-117 პროცენტით ასრულებს; 4 დაზგაზე მომუშავე მქსოველი ამხ. ბოხდარენკო დღეში ნორმის 110 - 112 პროცენტს იძლევა.

იზრდება სტახანოველთა რიგები. მქსოველი ამხ. ბარდუენკო, რომელიც ამას წინათ მოვიდა ფაბრიკაში, გეგმებს გადამეტებით ასრულებს და შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ნიმუშებს გვიჩვენებს. საამქროს 6 კომპლექტიდან შეჯიბრებაში პირველი ადგილი უკავია კომპლექტს, რომელსაც ამხ. კაცლიხი მეთაურობს.

ემზადება რა დღესასწაულისათვის ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ვადაზე 5 დღით ადრე შეასრულოს ოქტომბრის გეგმა და 20.000 მეტრი ქსოვილი გეგმის გადამეტებით გამოუშვას ოქტომბერში. მუშებმა განაცხადეს, რომ წლიურ გეგმას 20 დეკემბრისათვის შეასრულებენ. (საქდესი).

კოლმეურნეთა ვალდებულებანი

ბოლი („კომუნისტის" კორ.). გორის რაიონში დღითიდღე ფართოვდება წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება.

სოფ. ატენის კოლმეურნეობა „წითელმა მევენახემ" აიღო ვალდებულება 1 ნოემბრამდე დაამთავროს სიმინდის მოსავლის აღება, წარმატებით ჩაატაროს საშემოდგომო თესვა, დროზე შეაკეთოს პირუტყვის სადგომი ბინები.

ამ კოლმეურნეობაში გიორგი ჭილაძის ბრიგადამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კოლა ვაანიშვილის ბრიგადა. გუთნისდედამ შალიკო გოლაშვილმა დაივალა ყოველდღიურად მოხნას 0,6 ჰექტარი ფართობი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 0,5 ჰექტარისა და შეჯიბრებაში გამოიწვია გუთნისდედა სანდრო ბზიშვილი.

სოფ. ბერბუკის, ხელთუბნისა და ოხერას კოლმეურნეობებმა დაივალეს ოქტომბრის რევოლუციის 23 წლისთავისათვის სასახელოდ დაამთავრონ შაქრის ჭარხლის, ყურძნისა და სიმინდის მოსავლის აღება და მაღალხარისხოვნად ჩაატარონ ხორბლეულის საშემოდგომო თესვა.

ინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ქუთაისი, (საქდესი). ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებსა და მტს-ში ფართოდ გაიშალა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება.

მტს-მა, ჩაება რა სოციალისტურ შეჯიბრებაში წულუკიძის მტს-თან, იკისრა, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავისათვის შეასრულებს მზრალად ხვნის გეგმას, ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად მოამზადებს 40 ჰექტარს და გასწევს საწვავის ეკონომიას.

მტს-ის სტახანოვურმა ბრიგადებმა, რომლებსაც ა. მუშკუდიანი, მ. გეგია და ვ. ჭუმბურიძე ხელმძღვანელობენ, ვალდებულება იკისრეს, რომ წლიურ საწარმოო გეგმებს 150 პროც. შეასრულებენ.

მემანქანე ბახტაძის შესანიშნავი ინიციატივა

ბათუმის, თბილისისა და სამტრედიის რკინიგზელები — წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ. შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა თბილისის საორთქლმავლო დეპოს ცნობილმა კრივონოსელმა მემანქანემ ამხ. ბახტაძემ. მან პირველმა ჩამოიყვანა ბათუმიდან ზესტაფონში მძიმეწონიანი მატარებელი, რომელსაც ორის ნაცვლად ერთი ორთქლმავალი ება. ამით მიღწეულია ასობით კილოგრამი საწვავი მასალის ეკონომია. ამხ. ბახტაძის ინიციატივამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მემანქანეთა შორის. 10 დღეა, რაც ბათუმ-ზესტაფონის უბანზე მატარებლები ერთი ორთქლმავლით დადიან.

ემზადებიან რა ოქტომბრის XXIII წლისთავისათვის, გურჯაანის საორთქლმავლო დეპოს მემანქანეებმა ვალდებულება იკისრეს ისეთი წონის სამგზავრო მატარებლები წაიყვანონ-წამოიყვანონ გურჯაან-წნორის წყლისა და თელავ-გურჯაანის უბანზე, რომელიც ნორმას 190 ტონით აღემატებიან. ამ ვალდებულებას ისინი წარმატებით ასრულებენ. დეპოს მემანქანეებს — ამხ. გელაძეს, ზალიაშვილს, ჩხაიძეს, ნიკოლეიშვილს და სხვებს ნორმაზე 40-140 ტონით უფრო მძიმე მატარებლები დაჰყავთ.

შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს სამტრედიის სავაგონო დეპოს მევაგონეებმა. ამ დღეებში მათ ვაგონის ოსტატ ამხ. ვაშაკიძის ხელმძღვანელობით ერთ ვაგონს საშუალო რემონტი, ნორმით გათვალისწინებული 21 საათის ნაცვლად, 45 წუთში გაუკეთეს.

მუშაობის კარგი მაჩვენებლებით ეგებებიან ოქტომბრის რევოლუციის XXIII წლისთავს თბილისის სალიანდაგო დისტანციის მუშაკები. დისტანციამ ვადამდე შეასრულა წლიური დავალება სამუალო რემონტის ხაზით. ლიანდაგის შესამოწმებელმა გაზომვამ ცხადჰყო, რომ დისტანციის მუშაკები ბოლშევიკურად იბრძვიან ჯანსაღი ლიანდაგისათვის. (საქდესი).

მზადება საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლების გახსნისათვის

რკინიგზის სასწავლებელი

თბილისის საკ. ალკკ სახელობის რკინიგზის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი გადაკეთდება რკინიგზის სასწავლებლად, რომელიც სხვადასხვა სპეციალობის კვალიფიციურ მუშათა კადრებს მოუმზადებს თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას, თბილისის დეპოს და საქართველოს სხვა რკინიგზის საწარმოებს.

ვრცელი სასწავლო დარბაზები, მშვენივრად მოწყობილი სახელოსნოები და საამქროები, ზოგადი განათლების საგნების კაბინეტები სანიმუშო წესრიგშია მოყვანილი. საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის ფიზიკური კაბინეტი თბილისის ერთერთი საუკეთესო კაბინეტია.

წელს სასწავლებელში 300 კაცს მიიღებენ. მემანქანის თანაშემწეთა, ორთქლმავლის შემკეთებელ ზეინკალთა, ვაგონის შემკეთებელ ზეინკალთა, ავტომატმუხრუჭის შემკეთებელ ზეინკალთა, ლითონის ხარატთა, დურგალთა სპეციალობის ჯგუფებში უფრო მომზადებული ახალგაზრდობა იქნება მიღებული.

მომავალ სასწავლო წელს მოწაფეთა რიცხვი 600 კაცს მიაღწევს.

საქდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს რკინიგზის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის უფროსმა ამხ. ბიბილეიშვილმა თქვა, რომ მოსკოვში გზათა სახალხო კომისარიატში გაიმართა სსრ კავშირის ორმოცივე გზის რკინიგზის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლების ხელმძღვანელთა თათბირი. ეს თათბირი მოწვეულ იქნა იმ მიზნით, რომ გამოერკვიათ, თუ რამდენად შესაძლებელია არსებული რკინიგზის სკოლების საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებად, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლად გადაკეთება.

— ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი რკინიგზის სასწავლებლად გადაკეთდება, — განაცხადა ამხ. ბიბილეიშვილმა. იგი სავსებით უზრუნველყოფილ იქნება მაღალკვალიფიციური პედაგოგიური შემადგენლობით.

ამხ. ბიბილეიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს ახალგაზრდობა დიდად ეტანება სახელოსნო სასწავლებლებს. მარტო ერთ დღეს — 12 ოქტომბერს — სასწავლებელში მიღების პირობების გასაგებად 40-ზე მეტი კაცი მოვიდა. (საქდესი).

საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ ბრძანებულების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის ბერიას სახელობის რკინიგზის კადრების მომზადების განყოფილების უფროსმა ამხ. ბალანჩივაძემ შემდეგი აცნობა ჩვენს თანამშრომელს:

— ჩვენს რკინიგზაზე არსებული საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლები უმოკლეს ხანში გადაეცემა შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოს ორგანოებს რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსაწყობად. სამტრედიისა და კიროვაბადის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებს საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლებად გადააკეთებენ. ისინი მოამზადებენ მასობრივი პროფესიების კადრებს — ზეინკლებს, ხარატებსა და სხვ.

რკინიგზის საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს ორგანოებისათვის გადასაცემად მთელი მოსამზადებელი მუშაობა დამთავრებულია.

ამ უკანასკნელ ხანს ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობა ძლიერ ეტანება საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებსა და რკინიგზის სასწავლებლებს. კადრების მომზადების განყოფილებაში 15 განცხადებაზე მეტი შედის ყოველდღიურად. (საქდესი).

კოლმეურნე ახალგაზრდობა სახელოსნო სკოლებში შედის

სტალინირი, (საქდესი). ყველა კოლმეურნეობასა და საწარმოში აგიტატორები განმარტავენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ ბრძანებულების აზრსა და მნიშვნელობას, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას და შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს ბრძანებას. კოლმეურნე ახალგაზრდობა დიდ ინტერესს იჩენს სახელოსნო სკოლებისადმი. სტალინირის რაიონის სოფ. ერედვის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობაში შეტანილია კოლმეურნე გ. ბაციკაძის, ბ. ბორცვაძის, ე. ბესტავაშვილის, ნ. ქრისტესიაშვილის, ნ. ბერუაშვილის, რ. ბაციკაძისა და სხვების განცხადება, რომელნიც თხოულობენ სახელოსნო სკოლებში გაგვგზავნეთო.

კოლმეურნეობის გამგეობა ემზადება კოლმეურნე ახალგაზრდობის სასწავლად გაგზავნისათვის.

— ტრაქტორებმა და კომბაინებმა საშუალება მოგვცეს გაგვეთავისუფლებინა მუშა-ხელი ჩვენი სოციალისტური მრეწველობისათვის. ჩვენს კოლმეურნეობას თამამად შეუძლია 30 ახალგაზრდა კოლმეურნე გაგზავნოს სასწავლებლად, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ბაციკაძე.

სოხუმი, (საქდესი). აფხაზეთის კოლმეურნეები ფართოდ იხილავენ ბრძანებულებას სახელმწიფო შრომითი რეზერვების შექმნის შესახებ. აგიტატორები საუბრებს მართავენ ბრიგადებში, რგოლებში, კოლმეურნეობათა კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში, განუმარტავენ კოლმეურნეებს ახალ ბრძანებულებას და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას.

ბრძანებულებას მხურვალედ გამოეხმაურნენ სოფელ გუმისტის კოლმეურნეები. კოლმეურნეობა „რევოლუციის ნაპერწკლის" წევრი ამხ. აიკ კრბაშიანი ამბობს:

— სიხარულით გავგზავნით ჩვენს შვილებს სახელოსნო სასწავლებლებში. მე მსურს, რომ ჩემი შვილი მნაცკანი, რომელიც მე-9 კლასში სწავლობს, ტრანსპორტის კვალიფიციური ოსტატი იქნეს.

კოლმეურნე ახალგაზრდობა უდიდეს ინტერესს იჩენს სახელოსნო სკოლებისადმი.

ზედა ეშერის სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ოგანიანმა განაცხადა, სოფლსაბჭოში ახალგაზრდობას განცხადება შემოაქვს და თხოულობს, რომ დახმარება გავუწიოთ საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში შესასვლელად.

კოლმეურნე ლეონ ბედიკიანი, არუთინ ავეტისიანი და მრავალი სხვანი ითხოვენ სახელოსნო სკოლებში ჩარიცხეთ ჩვენი ბავშვებიო.

გ. ტივაძე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სწავლული მდივანი

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სესიის შედეგები

29 სექტემბერს დაამთავრა მუშაობა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პირველმა გამსვლელმა სესიამ ქ. სოხუმში. გამსვლელი სესიის ამოცანა იყო შეეჯამებინა აფხაზეთის აკად. ნ. მარის სახელობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მიერ და საქ. ფილიალის ხაზით ჩატარებული მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა აფხაზეთის ისტორიის, მატერიალური კულტურისა და სახალხო მეურნეობის დარგებში. ამიტომ იყო, რომ გამსვლელი სესიის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული 23 მეცნიერული ხასიათის მოხსენებიდან დიდი უმრავლესობა მიძღვნილი იყო აფხაზეთის ისტორიის, მატერიალური კულტურის, ენისა და სახალხო მეურნეობის აქტუალური საკითხებისადმი.

უნდა აღინიშნოს, რომ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამსვლელი სესიის მომმე რესპუბლიკაში ჩატარების პირველმა ცდამ დადებითი შედეგები გამოიღო. მან უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა აფხაზეთის ინტელიგენციასა და მშრომელ მოსახლეობაში. ამის დამადასტურებელი იყო ის გარემოება, რომ სესიის როგორც პლენარული, ისე სექციის სხდომები აქტიურად ჩატარდა. დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი და განხილული: საანგარიშო მოხსენება აფხაზეთის აკად. ნ. მარის სახ. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მუშაობის შესახებ, პროფ. ს. ჯანაშიას მოხსენება თემაზე: „აფხაზთა სამეფოს ისტორიიდან", პროფ. ა. ჩიქობავას მოხსენება თემაზე: „მორფოლოგიური შეხვედრები აფხაზურისა ქართველურ ენებთან". პროფ. კ. ზავრიევის მოხსენება — „ანტისეისმური მშენებლობის საკითხები საქართველოში" და სხვ. სხდომებს სისტემატურად ესწრებოდნენ აფხაზეთის მეცნიერ მუშაკები, პედაგოგები, პედაგოგიური ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტები, მეურნეობის სხვადასხვა დარგის პრაქტიკული მომუშავენი და სხვ.

სესიის მუშაობის პროცესში თვალსაჩინო გახდა აფხაზეთის აკად. ნ. მარის სახ. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მიერ ჩატარებული მუშაობის, დადებითი შედეგები. არსებობის ჯერ კიდევ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ინსტიტუტმა ძირითადად სწორი გეზის აღების შედეგად შესძლო შეექმნა მეცნიერ მუშაკთა ახალგაზრდა კადრი, რომელიც დიდი თავგამოდებით და საქმის უდიდესი სიყვარულით აწყვეტს თავისი ქვეყნის უაღრესად აქტუალურ, მეცნიერულ პრობლემებს. ეს ითქმის განსაკუთრებით სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის საწარმოო ძალებისა და ბოტანიკურ სექტორებზე. საწარმოო ძალების სექტორიდან მომხსენებელმა ამხ. კოლაკოვსკიმ თავის თემაში: „აფხაზეთის ალპიური საძოვრები, როგორც ბუნებრივი საწარმოო ძალა" გააკეთა მოკლე, მაგრამ საფუძვლიანი შეჯამება სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მიერ რამდენიმე წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შედეგებისა. ამ სამუშაოებმა მოიცვეს თითქმის მთელი აფხაზეთის რესპუბლიკა. ისინი ტარდებოდნენ ყოველმხრივ წინასწარ დამუშავებული და ორგანალური მეთოდების საშუალებით. ამასთან ერთად მთავარი ყურადღება ექცეოდა იმ საკითხებს, რომლებიც ეხებოდნენ მაღალმთიანი საძოვრების გენეზისს და მათი საწარმოო ხარისხიანობის უფრო მეტად გაზრდას.

ამხ. ვასილევის მოხსენებამ თემაზე: „აფხაზეთის გარეული ხეხილი და ხის ჯიშები" სესიის მონაწილენი გააცნო კულტურული და გარეული ხეხილის იმ კოლოსალურ სიმდიდრეს, რომელიც გააჩნია საბჭოთა აფხაზეთს. განსაკუთრებული სხვადასხვაობით გამოირჩევიან კაკლის, მსლის, ვაშლის და ალუჩის ხეების ჯიშები, რომლებიც ადგილ-ადგილ ჰქმნიან უდიდეს მასივებს. ბევრი ამ ხეხილის ჯიშთაგანი განირჩევა სინოყივრით, შაქრისა და ვიტამინების მაღალი შემცველობით. ამისათვის მათ დიდი მნიშვნელობა ეძლევათ ადგილობრივი დამზადების და საკონსერვო მრეწველობის საქმეში.

ამხ. იაბროვას მოხსენებამ თემაზე: „გუდაუთის რაიონის ველური სამკურნალო მცენარეები" სესიაზე დამსწრეთ უჩვენა აფხაზეთის სამკურნალო მცენარეების მდიდარი ფონდის შემდგომი ათვისების გზა. ამ სამკურნალო მცენარეთა სახეობანი 550-მდე აღწევს. ბევრი მათგანი დიდი მნიშვნელობის მქონე წამლების საწყისის მატარებელნი არიან. მათზე მუშაობა ჩატარებულია ხარკოვის ფარმაკოქიმიურ ინსტიტუტთან ერთად, რომელიც შეკრებილი მასალის ანალიზებს და მათზე კლინიკურ ცდებს ატარებდა.

ამგვარად, სესიის მონაწილეთათვის ცხადი გახდა ის გარემოება, რომ აფხაზეთის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს შეუძლიათ დამოუკიდებლად გადასწყვიტონ მათ წინაშე მდგომი მთელი რიგი ურთულესი პრობლემები და რეპუბლიკის ბუნებრივი რესურსების მეცნიერული შესწავლით უფრო მეტად გაამდიდრონ და წინ წასწიონ სახალხო მეურნეობა.

აფხაზეთის მეცნიერ მუშაკთა კადრების ასეთი წარმატებები მოპოვებულია პირველ რიგში ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების უდიდესი მზრუნველობითა და ყურადღებით.

როგორც აფხაზეთის მეცნიერ მუშაკნი სესიის მუშაობის დროს აღნიშნავდენ, მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია მათ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალმა. აფხაზეთის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტია და საქართველოს ფილიალის ჰქიდრო ურთიერთობის განმტკიცება, რაც საქ. ფილიალის გამსვლელი სესიის მიზანი იყო, ამ მუშაობას უფრო ინტენსიურს გახდის. ეს გარემოება კარგად აქვთ შეგნებული აფხაზეთში მომუშავე მეცნიერ მუშაკებს და ამიტომ არის, რომ გამსვლელი სესიების განმეორებით ჩატარება აფხაზეთში მათ შემდეგისთვისაც აუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ.

აფხაზეთში გამსვლელი სესიის მთელი მუშაობა სათანადო წინასწარი მომზადების ჩატარების შედეგად ორგანიზებულად წარიმართა. პლენარული და სექციების სხდომები ზუსტად გათვალისწინებული გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორ მოხსენებას, რომლების ავტორებიც ვერ გამოცხადდნენ სესიაზე, ერთი ავადმყოფობისა და მეორე მოსკოვში მივლინების გამო). სესიის მონაწილეებმა დიდი ხნით ადრე მიიღეს მოხსენებების თეზისები, რამაც სესიის მონაწილენი აქტიურად ჩაება საქმიანობაში.

პლენარული და სექციების სხდომების რეზოლუციებმა დასახეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც შემდგომისათვის უფრო მეტად გააუმჯობესებენ აფხაზეთის აკად. ნ. მარის სახელობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მუშაობას.

აფხაზეთის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მიერ ასე წარმატებით დაწყებული საქმის უფრო მეტად გაფართოებისათვის აუცილებელია ახლო მომავალში გაიზარდოს საძოვართა და სათიბთა სტაციონარების ქსელი აფხაზეთის ტერიტორიაზე და შეიქმნას მძლავრი ბაზა მეცნიერული მუშაობის შემდგომი გაშლისათვის. ამ მიზნით საქ. ფილიალის სისტემაში მყოფ აფხაზეთის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთან დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს ბოტანიკური ბაღი. ბოტანიკური ბაღის ორგანიზაციისათვის საქართველოს ფილიალის გამსვლელმა სესიამ საუკეთესო ადგილად მცენარეთა ყოფილი საკავშირო ინსტიტუტის ბაღი ჩასთვალა. სესიამ აუცილებლად სცნო აგრეთვე ინსტიტუტის მატერიალური ბაზის მეტად განმტკიცება ახალი შენობის გამონახვით, პოლიგრაფიული ბაზის შექმნით და ადგილობრივი მეცნიერული კადრების შემდგომი ზრდით.

პარტიული ცხოვრება

რაზომ ავანგარდმი არ არიან კომუნისტები?

(მახარაძე, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

სან. ჯ. პ. (ბ) წესდების მეორე მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნულია, რომ პარტიის წევრი ვალდებულია „იყოს შრომითი და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დაცვის ნიმუში, ეუფლებოდეს თავისი საქმის ტექნიკას, განუწყვეტლივ ამაღლებდეს თავის საწარმოო, საქმიან კვალიფიკაციას“. ეს საწესებო მოთხოვნა კოლმეურნე კომუნისტებს ავალებს სათავეში ჩაუდგნენ უპარტიო კოლმეურნეებს, დაუღალავად იბრძოლონ კოლმეურნეობაში მოწინავე აგროტექნიკის დასანერგავად, მიაღწიონ ყველა სახის საკოლმეურნეო გეგმების მაღალხარისხოვნად და ვადაზე ადრე შესრულებას. საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია უნდა რაზმავდეს თავის წევრებს ამ ამოცანების შესრულებისათვის.

როგორ მუშაობს ამ მხრივ სოფ. ჭანეფთის საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია? უნდა ითქვას, რომ ცუდად... აღნიშნული პარტიული ორგანიზაცია (მდივანი—ამხ. მ. მეკანაძე) თავის რიგებში 4 წევრსა და 5 კანდიდატს ითვლის. პარტიის წევრებიდან კოლმეურნეობაში ფიზიკურად მხოლოდ ერთი ამხანაგი — ნინო ლომჯარია მუშაობს. რაც შეეხება დანარჩენ სამ ამხანაგს, მათგან ერთი კოლმეურნეობის მდივანი — მოლარეა, მეორე — კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობს და მესამე კი პარტორგანიზაციის მდივნად.

პარტიის წევრობის კანდიდატებიდან ამხ. ამ. თავაძე საწყობის გამგედ მუშაობს, გ. ანთიძე—№ 4 ბრიგადის ნაკრეფი ჩაის ფოთლის მწონავად, ნიკ. ღლონტი — საგზაო ბრიგადის ბრიგადირად, ნიკ. მახარაძე — სახერხი ქარხნის მემანქანედ, ხოლო მოსე სურგულაძე ბრიგადაში მუშაობს ფიზიკურად.

ამრიგად, უშუალოდ კოლმეურნეებთან ყოველდღიურად მუშაობა უხდება მხოლოდ 2-3 კომუნისტს, მაშინ როდესაც აქ 6 საკოლმეურნეო საველე ბრიგადაა.

როგორია იმ ამხანაგების ავანგარდული როლი, რომლებიც ბრიგადებში მუშაობენ? თუ მხედველობაში არ მივიღებთ პარტიის წევრს ამხ. ლომჯარიას, შეიძლება ითქვას, რომ კომუნისტები აქ ვერ ანხორციელებენ ავანგარდულ როლს. ასე, მაგალითად, პარტიის წევრობის კანდიდატს მოსე სურგულაძეს მიმდინარე წელს გამომუშავებული აქვს 193 შრომადღე, ნიკოლოზ ღლონტს — 213, გიორგი ანთიძეს—131 შრომადღე, მაშინ როდესაც უპარტიო კოლმეურნემ აისარ კვირკველიამ გამოიმუშავა 307 შრომადღე, ლევარსი ჩიტაიშვილმა — 296, ანიჩქა ლომჯარიამ — 276 და მარო ანთიძემ 278 შრომადღე.

აღნიშნულ კომუნისტთა სუსტი მუშაობა უსათუოდ ერთერთი მთავარი მიზეზია იმისა, რომ ეს კოლმეურნეობა ითვლება ჩამორჩენილ კოლმეურნეობად ჩაის ფოთლის კრეფის და სხვა საკოლმეურნეო გეგმების შესრულების საქმეში. კოლმეურნეობამ ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა მხოლოდ 58,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო აგვისტოში — 56 პროცენტით. სამარცხვინო ჩამორჩენა კვლავ გრძელდება. სექტემბერში გეგმით გათვალისწინებული 60.485 კილოგრამის მაგიერ მოკრიფეს მხოლოდ 27.903 კილოგრამი, ანუ გეგმის 46,2 პროცენტი.

პარტიული ორგანიზაცია გადამჭრელ ზომებს არ იღებს ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ, ვერც კომუნისტები გვიჩვენებენ ავანგარდულ როლს მუშაობაში. საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომმა უურადღება უნდა მიაქციოს ამ კოლმეურნეობის და მასთან არსებული პარტორგანიზაციის მუშაობას.

ვ. ჯაფელი

ახალი ავტორები რაიონულ გაზეთში

(გ.ო.რი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

გაზეთ „სტალინელის“ რედაქციამ ახლებურად მოაწყო მუშაობა. გაზეთის შტატიანი თანამშრომლებისათვის ჰონორარის ანაზღაურების წესი ლიკვიდირებულია, შემცირდა შტატი.

ამ ცვლილებებმა გაზეთის მუშაობის გაუმჯობესება გამოიწვია. ახლა „სტალინელის“ გვერდები ძირითადად ივსება პარტიული და საბჭოთა აქტივისტების, მუშსოფლკორების, სოფლკორების და საერთოდ მშრომელთა წერილების მასალებით. გაზეთის შტატიანი მუშაკები დაინტერესდნენ ავტორთა აქტივის მოზიდვით. შტატიანმა მუშაკებმა გ. ჯაშაშვილმა ბ. ტეტუნაშვილმა შესძლეს ახალი აქტივის ჩაბმა გაზეთის მუშაობაში.

„სტალინელის“ ფურცლებზე უკვე იბეჭდება წერილები 17 ახალი ავტორისა, რომლებიც წინათ არასოდეს არ თანამშრომლობდნენ გაზეთში. ერთი სიტყვით, რაიონული გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდნენ ახალი ავტორები. მათ შორის აქტიურად თანამშრომლობენ გორის რაისაბჭოს დეპუტატი, ბერიას სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე სირანა ანასტასოვა, სოფ. პატარა გარეჯვრის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე ივ. მურადაშვილი, გორის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი ნ. კობიაშვილი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ფილიპაძე, აგიტატორი გ. კიკალეიშვილი და სხვები.

„სტალინელის“ რედაქცია მშრომელთა მრავალ წერილს იღებს. უკანასკნელ სამ დღეში მიღებულია 53 კორესპონდენცია. ყველა ვარგისია დასაბეჭდად.

ს. ყურაშვილი

როცა პარტიული ხელმძღვანელობა სუსტია

ახალქალაქის რაიკოოპკავშირის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. ვ. მინასიანი) სუსტად მუშაობს.

რაიკოოპკავშირის გამგეობაში სახელმწიფო თანხებს ხელგაშლილად ხარჯავენ. ამის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი ფაქტი. რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ს. თოქმაჯიანმა გადასწყვიტა წასულიყო მივლინებაში საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში საქონლის შესასყიდად. ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწია გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ვანიევმა.

ამხ. თოქმაჯიანმა მიიღო მივლინების ფული და მოემზადა წასასვლელად. ეს იყო მიმდინარე წლის 17 მაისს. „საზოგადოებრივი საქმით დაინტერესებულმა“ თოქმაჯიანმა შეისყიდა სულ 190.000 მანეთის საქონელი და დაბრუნდა ორთვენახევრის შემდეგ. შესყიდულს შორის დიდი რაოდენობით იყო ზოგიერთი ისეთი საქონელი, რომლის მთლიანად განაღდება ჩვენს რაიონში შეუძლებელი იყო. და ეს ასეც მოხდა, მოტანილი საქონლიდან ამჟამად მხოლოდ 10 პროცენტია განაღდებული.

ყოველივე ამას გულდამშვიდებით უყურებს ადგილობრივი პირველადი ორგანიზაცია და თვით ამხ. ვანიევიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ აქ წაღებული სახელმწიფო თანხების განაღდებაზე არ ზრუნავენ. მაგალითად, ამხ. თოქმაჯიანზე, გარდა იმისა, რომ მან მიიღო მივლინების ფული 3524 მანეთი და 74 კაპეიკი, ირიცხება 3.509 მანეთი, ა. ბერუჟანოვზე — 1.073 მანეთი და სხვ. ყოველივე ამას მფარველობს ამხ. ვანიევი, რადგანაც რაიკოოპკავშირში რევიზიის ჩატარებამდე თვით ვანიევზე ირიცხებოდა 1.900 მანეთზე მეტი (ამჟამად კი მასზე ირიცხება 529 მანეთი).

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ შეანელა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ამაზე ადასტურებს ისიც, რომ უკანასკნელი ოთხი თვის მანძილზე პარტიული კრება მხოლოდ ერთხელ არის ჩატარებული. საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ პარტიულ ორგანიზაციას ერთხელაც არ მოუსმენია გამგეობის თავმჯდომარის მოხსენება. პარტორგანიზაციამ დღემდე არ იცის, თუ როგორ სრულდება დამზადების გეგმები და სხვა სამუშაოები, რაც ყოვლად შეუწყნარებელია.

საჭიროა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ სახელმწიფო თანხების მიმთვისებელთა საკითხი გახადოს პარტიულ კრების მკაცრი მსჯელობის საგნად და დამნაშავე პირთ დაედოს სათანადო სასჯელი.

ზ. ჯარიძე

კითხვა-პასუხის საღამო

მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკა „პარიზის კომუნის“ პარტორგანიზაციის გამოცდილების საფუძველზე თბილისის ამხ. ლ. ბერიას სახ. ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტბიუროს ინიციატივით ამ დღეებში ფაბრიკაში მოეწყო კითხვა-პასუხის საღამო.

ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთაგან შემოსულ შეკითხვებზე პასუხი გასცეს ქარხნის დირექტორმა ამხ. რობაქიძემ, რესპუბლიკის პროკურატურიდან ამხ. პაკორიამ, თბილეფჩრიდან ამხ. ბახჩესიანმა, რესპუბლიკის მილიციის სამმართველოდან ამხ. ნეკრასოვმა, ტრამვაის ტრესტიდან ამხ. ჭანტურიამ და ლექტორმა ამხ. სულეიმანმა.

შემოსული შეკითხვები მეტად მრავალფეროვანი იყო. ხუთი დღის განმავლობაში ფაბრიკის აგიტატორების დახმარებით 183 კითხვა შეგროვდა. შეკითხვები იყო სხვადასხვა თემაზე მშობლიურ ენაზე დაწერილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ და საამქროს ორგანიზაციებმა გულმოდგინედ მოჰკიდეს ხელი ამ კრების მომზადებას. წინასწარ ჩატარდა ფაბრიკის აგიტატორებთან საუბარი, თუ როგორ უნდა იქნას შეგროვილი საჭირბოროტო და საინტერესო კითხვები. მრავალტირაჟიანმა გაზეთმა „სტახანოველმა“ სპეციალური გვერდი დაუთმო ამ საკითხის მომზადებას. თვალსაჩინო ადგილას გამოიკრა განცხადებები, გაკეთდა ყუთები კითხვების შესაგროვებლად, საამქროებში ჩატარდა საუბრები აღნიშნული საკითხის ირგვლივ. ცხადია, შემოსული კითხვებიდან იყო ისეთი კითხვებიც, რომლებიც შეეძლოთ განემარტათ ადგილზე აგიტატორებსაც. კარგი იქნება ავრეთვე, რომ გაზეთი „სტახანოველი“ თავის ფურცლებზე მოაწყობდეს მუშების მიერ დასმულ ზოგიერთ კითხვებზე პასუხის გაცემას.

ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციას განზრახული აქვს კითხვა-პასუხის საღამო მოაწყოს სხვა ცვლებისთვისაც.

შ. კოგბიაშვილი

ამხ. ლ. ბერიას სახ. ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტკომიტეტის გამგე.

გაფიცულ მუშების დარბევა

მხატვ. ი. ვლადიმიროვის ნახატი.

ჩვენ გვწერენ

ყურადღება საბურთალოს ახალ დასახლებულთ

ვიბორგისა და ლვოვის სახელობის ქუჩებმა საბურთალოს ტრიალი მინდვრები აგურის კოხტა შენობებით დაამშვენა. უკანასკნელ ერთ წელ-წადში 1000 მცხოვრებამდე გაიზარდა ოქტომბრის ეს უბანი.

აქ მცხოვრებთ მშენებლობისა და ოჯახისათვის ესაჭიროებათ წყალი, მაგრამ ამას საბურთალოზე მოკლებული არიან. ერთი წელიწადია გაყვანილია წყლის მილების ქსელი, მაგრამ წყალი არ მოდის. ინდივიდუალური ბინების მშენებლები იძულებული ხდებიან წყალი შეიძინონ კერძო პირებისაგან სპეკულანტურ ფასებში.

წყლის შემდეგ აქ „ვიწრო ადგილს“ ტრანსპორტი წარმოადგენს. ტრამვაის ხაზიდან (საბჭოთა კავშირის გმირების მოედანი) ამ ადგილამდე 5 კილომეტრია. წინათ სპეციალისტების სახლამდე მოძრაობდა ავტობუსი, მაგრამ მარშრუტი გაგრძელების ნაცვლად შეაკვეცეს და უკანასკნელი გაჩერება საბურთალოს ბაზრის ახლოს გადმოიტანეს.

ჩვენის აზრით აუცილებელია ავტობუსის უკანასკნელი გაჩერება გადატანილ იქნას ახალდასახლებულთა მისასვლელ ადგილთან. ამით მომსახურება გაეწევა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებსაც, რომლებიც საბურთალოზე საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ.

აქ არც სინათლის საქმეა მოწესრიგებული. მცხოვრებლები ჯერჯერობით არ მოითხოვენ ელანათების გაყვანას ბინებში, არამედ თხოვენ თბილისის საბჭოს კომუნალურ განყოფილებას, რომ გაიმართოს მათთვის ათობდე ბოძი ლამპა. ყველანაირისთვის და ამ-ცალივე ნათურა ეჩეროს „გასანათებლად“.

პატრონ სოფაძრ წარტილა და კოლეგიალური მოთხოვნის გამო ამ-ლამპა ლამპებზე ფანარი დაკიდეთ, ვინემდე ბინებ-ში საფოსტო მომსახურების საკითხს. იმის გამო, რომ ამ უბანში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების საგანგებო ბინა არ არის, მცხოვრებნი მოკლებული არიან ჟურნალ-გაზეთებისა და საფოსტო კორესპონდენციების თავის დროზე მიღების შესაძლებლობას. ცუდი არ იქნება, თუ კავშირგაბმულობის თბილისის განყოფილების ხელმძღვანელობა ამ საქმეს სასწრაფოდ მოაგვარებს.

ამ უბნის მცხოვრებთა ბავშვებისათვის არც სკოლის საკითხია მოგვარებული. მუშა-მოსამსახურეებს უხდებათ თავიანთი შვილები 4-5 კილომეტრზე ატარონ სკოლაში. ეს იმ დროს, როდესაც იქვე მახლობლად არის მე-53 რუსული საშუალო სკოლა, სადაც შეიძლებოდა ქართული პარალელური კლასების გახსნა, რომ მშობლები განტვირთულიყვნენ ბავშვების სკოლაში დიდ მანძილზე წაყვანა-წამოყვანისაგან.

ვფიქრობთ, საბურთალოზე მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა კულტსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხით დაინტერესდება მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომი და აღნიშნულ ნაკლოვანებებს დაჩქარებით გამოასწორებს.

ს. როინიშვილი.

დავამყაროთ კოლმეურნეობაში ბოლშევიკური წესრიგი

სამტრედიის რაიონის სოფ. დიდი ჯიხაიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარედ ნ. ჯვარშეიშვილია ცუდად მუშაობს, გამგეობის სუსტი ხელმძღვანელობისა და უპასუხისმგებლობის შედეგად კოლმეურნეობაში მდგომარეობა გაუარესდა გასული წლიდანვე. 505 წევრიდან მარშან შრომადღეების მინიმუმი არ გამოუმუშავებია რამდენიმე ათეულ კაცს. კოლმეურნეობაში ადგილი ჰქონდა სამუშაო დღეების გაცდენას, სამუშაოზე დაგვიანებას, გაუპატიურებულ, სუსტსათანადოდ და სხვ. უწესოდ გაცემას, შრომადღეების არასწორად დარიცხვას, იარაღ-მანქანების მოუვლელობას, აგროწესების უხეშად დარღვევას.

კოლმეურნეობას არ შეუსრულებია მთელი რიგი დავალებები. ლობიო არ დათესია 150 ჰექტარზე, ხოლო სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14 ცენტნერისა, ჰექტარზე მიიღო 9,7 ცენტნერი, კომბოსტო 120 ცენტნერის ნაცვლად—30, პომიდორი 240 ცენტნერის ნაცვლად — 28, საზამთრო 100 ცენტნერის ნაცვლად—მხოლოდ 5 ცენტნერი. კიტრი გეგმით უნდა მიეღოთ 150 ცენტნერი, მაგრამ ნათესებს არ მოუარეს, რის გამო ერთი ცენტნერიც არ მიუღიათ.

ცუდი მუშაობის შედეგად კოლმეურნეობას გეგმასთან შედარებით დაეკლდა მემინდვრეობიდან და მდელოსნობიდან—27.567 მანეთის შემოსავალი, მებაღეობა-მებოსტნეობიდან — 51.234 მანეთისა, საგურეში დაიკარგა 11.600 ცალი აგური და სხვ.

რა მდგომარეობაა წელს? იმის გამო, რომ შარშან უხეირო მუშაობისა და უპასუხისმგებლობისათვის დამნაშავეებს სათანადო პასუხი არ მოსთხოვეს, კოლმეურნეობაში შრომა კვლავ მოუწესრიგებელია. სოცშეჯიბრებაში არ არის ჩაბმული არცერთი ბრიგადა, არცერთი კოლმეურნე. კვლავ ადგილი აქვს სამუშაოს ხშირად გაცდენას (ყოველდღე სამუშაოს აცდენს 80-მდე კოლმეურნე, ხოლო 60 კოლმეურნიდან წელს თვითეულს საშუალოდ გამომუშავებული აქვს 30-40 შრომადღე) და სხვ.

წელს კოლმეურნეობას არ შეუსრულებია ჩაის კრეფის არცერთი თვის გეგმა. კომბოსტო, ნაცვლად 31 ტონისა, მიღებულია მხოლოდ 20 ტონა, პომიდორი 45 ტონის ნაცვლად—31, კიტრი 150 ტონის ნაცვლად 9,5 ცენტნერი. მოუვლელია მთელ რიგ კულტურათა ნათესები და პლანტაციები.

კოლმეურნეობის ფერმაში წელს ზამთარში უყურადღებობით დაიხოცა 5 ხბო. გამგეობის დაუკითხავად ფერმის კარგი ძროხა გასცვალეს უფრო მდარე ძროხაში. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ფერმიდან სოუკეთესო მეწველი ძროხა 4 თვით სახლში გაატანა მოანგარიშე ლ. ზოვნაძეს პირად სარგებლობისათვის. ფერმის 32 ძროხის ნაწველიდან ღღეში მხოლოდ 2-3 კილოგრამ ყველს იღებენ.

გამგეობის წევრთა შორის შეთანხმებული მუშაობა არ არის. თავმჯდომარე ხშირად თვრება, იშვიათად დადის ბრიგადებსა და ნაკვეთებში. ნაკლებად იცნობს სასოფლო - სამეურნეო სამუშაოებს. არც საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია და არც რაიონის წელმძღვანელი ორგანიზაციები ამ მდგომარეობას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ.

კოლმეურნეები

(ხელს აწერს სამი კაცი).

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

კოლმეურნეებს წყალსადენი ექნებათ

ზესტაფონის რაიონის სოფ. როდინოულის კოლმეურნეებმა გაზ. „კომუნისტის“ რედაქციას გამოუგზავნეს წერილი, სადაც ისინი სწერდნენ, რომ ღიდი ხანია სურთ გამოიყვანონ სასმელი წყალი, მაგრამ ამ მოლოდინის შესრულებას ვერ ელოდნენ.

წერილი ზომების მისაღებად გაეგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომს. რაიკომის მდივანი ამხ. წვერავა გვატყობინებს, რომ ამ საქმის მოგვარებას რაიონულმა ორგანიზაციებმა გულმოდგინედ მოჰკიდეს ხელი. საკითხი განხილულ იქნა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე: აღმასკომმა დაამტკიცა კოლმეურნეთა წინადადება სოფ. ობჩიდან სასმელი წყლის გამოყვანის შესახებ. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატი საბჭოს ეთხოვა მშენებლობის დაკრედიტება და დაპროექტებისათვის დახმარების გაწევა.

კოლმეურნეებს მიზნად აქვთ წყალსადენის მშენებლობა აწარმოონ ფერგანული მეთოდით.

პროფ. ა. შესტაკოვი

სრულიად-რუსეთის პოლიტიკური გაფიცვის 35 წლისთავი

პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა 1905 წლის შემოდგომისათვის. მეფის მთავრობამ, რომელიც ოცნებობდა იმაზე, რომ „პატარა ძლევამოსილი ომით“ ჩაეხრჩო რევოლუცია, ამ დროისათვის პორტსმუტში ხელი მოაწერა სამარცხვინო საზავო ხელშეკრულებას იაპონიასთან. არანაკლებად სამარცხვინოდ გაცრუვდა ცარიზმის იმედი ბულიგინის სახელმწიფო სათათბიროზე. პროლეტარიატმა და გლეხობის ფართო მასებმა ბოიკოტი გამოუცხადეს სისხლისმსმელი მეფის უჭკუო მინისტრების მიერ შეთითხნილ ამ ანტისახალხო დაწესებულებას.

რსდმპ III ყრილობამ დასახა ერთადერთი სწორი რევოლუციური ხაზი—მასების მომზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის, რომლის დასაწყისი და ფინალი ამ მსჯელობაში მასობრივმა პოლიტიკურმა გაფიცვამ შეიძლება უდიდესი როლი ითამაშოს. მხოლოდ შეიარაღებულ აჯანყებას შეუძლია მოგვტანოს გამარჯვება ცარიზმზე, მოგვცეს დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნისა და დამფუძნებელი კრების მოწვევის შესაძლებლობა. შეიარაღებული აჯანყება გადასწყვეტს სხვა დემოკრატიულ ამოცანებსაც: რვასაათიანი სამუშაო დღის შესახებ, მემამულეთა მიწების გამოუსყიდლად კონფისკაციის შესახებ. გადასჭრის რა ამ ამოცანებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, მუშათა კლასი შემდეგ გადავა რევოლუციის ახალ ეტაპზე — კაპიტალისტური წყობილების მოსპობასა და თავისი დიქტატურის დამყარებაზე.

ბოლშევიკების ეს იდეები და ლოზუნგები სულ უფრო და უფრო ფართოდ და ღრმად იჭრებოდა ხალხის მასებში, ფეხზე აყენებდა მათ უდიდესი საგმირო საქმეებისათვის.

რუსეთის მუშათა კლასის ასეთი ისტორიული საგმირო საქმე იყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა 1905 წლის ოქტომბერში. ეს იყო უმაგალითო დემონსტრაცია იმ ხალხის ძალებისა, რომელიც ფეხზე დადგა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ მომხდარი აჯანყების შემდეგ, რკინიგზელთა, გლეხთა და მოჯამაგირეთა ივლისის და აგვისტოს გამოსვლების შემდეგ შემოდგომის რევოლუციური აზვირთება მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთ მოედო და მსოფლიო პროლეტარიატის აღტაცებას იწვევდა. რუმინეთში, ავსტრიაში მუშები მაგალითს იღებდნენ რუსი ძმებისაგან, აწყობდნენ დემონსტრაციებს, მოითხოვდნენ საარჩევო უფლებების გაფართოებას და გამოსთქვამდნენ აღტაცებულ თანაგრძნობას რუს ამხანაგთა გმირული ბრძოლისადმი.

ახლად გამომტყვრილ გრაფ ვიტეს ამ დროს მოლაპარაკება ჰქონდა პარიზისა და ბერლინის ბანკირებთან რევოლუციასთან საბრძოლველად ცარიზმისათვის ფინანსიური დახმარების აღმოჩენის შესახებ. რუსეთის ბურჟუაზია გადაჭრით იბრუნებდა პირს რეაქციისაკენ. კადეტებიც კი, რომლებიც რადიკალების სამოსელში ეხვეოდნენ, აშკარად ემზადებოდნენ ამისათვის, რომ ოპოზიციიდან გადასულიყვნენ ნიკოლოზ მეორისათვის აქტიურ მხარდაჭერაზე. ბურჟუაზიის აგენტები მუშათა კლასში — მენშევიკები — ყოველნაირად აფერხებდნენ რევოლუციის გაშლას.

რუსეთის პროლეტარიატი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ღღითიდღე მზარდი ენერგიით რაზმავდა თავის ძალებს პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებში, ჰქმნიდა მებრძოლ რაზმებს, აჩაღებდა აგიტაციას სოფლად, იბრძოდა ცარიზმის პროვოკაციული პოგრომულ-ნაციონალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. პროლეტარიატის პარტია გაბედულად მიდიოდა ჯარისკაცთა ყაზარმებში, ეწეოდა აგიტაციას ფრონტზე და ზურგში. პროლეტარიატი სათავეში ჩაუდგა ხალხის მასების ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ.

რუსეთის ცალკეულ რაიონებში, პოლონეთში, ლატვიაში რევოლუციურმა ბრძოლამ 1905 წლის შემოდგომისათვის უაღრეს გამძაფრებას მიაღწია. ამიერ-კავკასიაში, გურიაში გლეხობა და მუშათა მასები რევოლუციურ თვითმმართველობას ამყარებდნენ. ქვეყნის ცენტრში სწარმოებდა გაძლიერებული მზადება საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვისათვის. ეს გაფიცვა დაიწყო ოქტომბრის მეორე ნახევარში პატარ-პატარა „საარიერგარდო ბრძოლებით“—ცალკეულ საწარმოებში მრავალრიცხოვანი ეკონომიური გაფიცვებით.

მოსკოვში, რომელიც მანამდე ჩამორჩებოდა, სექტემბრის დამლევია და ამავე დროს თავმოყრილია შედარებით მცირე ოლქში ისეთი რაოდენობით, რასაც რუსეთში არსად ბადალი არ მოეპოვება“ (**ლენინი.** ტ. VIII, გვ. 293).

პეტერბურგშიც იზრდებოდა საგაფიცვო ბრძოლა: გაიფიცნენ ნევის გემთმშენებელი ქარხანა, სანგალის ქარხანა, ზარაფხანა, სემიანიკოვის ქარხანა და სხვ. შლისელბურგის პროსპექტზე მოხდა მუშათა მასობრივი დემონსტრაცია, რომელიც დამთავრდა პოლიციასთან და ჯართან შეტაკებით. 4 (17) ოქტომბერს პეტერბურგში მუშებმა შეაჩერეს მოძრაობა საგარეუბნო რკინიგზაზე. 5 (18) ოქტომბერს უნივერსიტეტის შენობაში შესდგა მუშათა 10-ათასიანი მიტინგი, რომელზეაც ბოლშევიკების პეტერბურგის კომიტეტის ორატორები მოუწოდებდნენ მუშებს შეიარაღებისაკენ და ბრძოლი რაზმების გაძლიერებული შექმნისაკენ.

7 (20) ოქტომბერს გაფიცვაში ჩაებნენ მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის სახელოსნოები; მათ შეუერთდნენ მემანქანეები და ტელეგრაფისტები. რკინიგზის ხაზებზე დაგზავნილ იქნა დეპეშები მოწოდებით, რომ მიმხრობოდნენ გაფიცვას. ლაინდაგებზე გაფუჭებულ იქნა მოსაბრუნებელი წრეები, სემაფორები, გზები ჩახერგილ იქნა ვაგონების შემადგენლობებით. რკინიგზელთა გაფიცვის პოლიტიკურმა ხასიათმა თავისი გამოხატულება ჰპოვა რკინიგზელთა მიერ წამოყენებულ მოთხოვნებში.

გაფიცვა ძალიან სწრაფად მოედო ქვეყნის თითქმის მთელ რკინიგზის ქსელს (700 ათასი მუშა და მოსამსახურე!). რკინიგზელებთან ერთად გაიფიცნენ ფაბრიკების, ქარხნების, სახელოსნოების, ქალაქთა საწარმოების მუშები თითქმის მთელ რუსეთში. ოქტომბრის სრულიად-რუსეთის გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 2 მილიონმა მშრომელმა.

ქვეყნის სამრეწველო ცენტრები იყვნენ დასაყრდენი პუნქტები საყოველთაო გაფიცვისა, რომლის ხელმძღვანელობაც უმთავრესად ბოლშევიკების პარტიის კომიტეტთა ხელში იყო მოქცეული. გაფიცვას ყველგან ერთვოდა პოლიტიკური დემონსტრაციები, მასობრივი კრებები, უმთავრესად უმაღლესი სასწავლებლების შენობებში. მთელ რიგ ქალაქებში უნივერსიტეტები აწარმოებდნენ სახსრების შეგროვებას პროლეტარიატის შესაიარაღებლად. მოსკოვში, პეტერბურგში, ბაქოში უნივერსიტეტებს ალყა ჰქონდათ შემორტყმული ჯარებისა და პოლიციის მიერ.

ოქტომბრის დღეებში თბილისში ბოლშევიკების პარტიის კომიტეტი გამოვიდა პროკლამაციით, შეიარაღებული აჯანყების მომზადებისაკენ მოწოდებით. ოქტომბრის გაფიცვის დღეებში თბილისში შემდგარ მიტინგზე ამხანაგი სტალინი ბოლშევიკების სახელით ამბობდა: „რა გვესაჭიროება ჩვენ, რომ მართლა გავიმარჯვოთ? ამისთვის გვესაჭიროება სამი რამ: პირველი, ჩვენ გვესაჭიროება შეიარაღება, მეორე — შეიარაღება, მესამე — კიდევ და კიდევ შეიარაღება“.

ხარკოვსა და ეკატერინოსლავში (ამჟამად დნეპროპეტროვსკი) 12 (25) ოქტომბერს მოხდა მუშათა პირველი შეიარაღებული შეტაკებანი ჯარებთან. სარატოვსა და რეველში (ტალინში), აგრეთვე ფინეთისა და პოლონეთის მთელ რიგ ქალაქებში გაფიცულები ებრძოდნენ ჯარს.

საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის მსვლელობაში მუშათა რევოლუციურმა შემოქმედებამ შეჰქმნა ბრძოლის ახალი იარაღი — მუშათა დეპუტატების საბჭოები. ეს იყო მსოფლიოში ჯერ კიდევ უმაგალითო მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაცია პროლეტარიატის.

პეტერბურგში აღმოცენდა მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელმაც იკისრა გაფიცვის ხელმძღვანელობა. მაგრამ პეტერბურგის საბჭო ვერ აღმოჩნდა მდგომარეობის სიმაღლეზე: მისი ხელმძღვანელობა იყო მენშევიკების ხელში, რომელთა ტაქტიკა ფუშავდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებას, ხელ-ფეხს უბოჭავდა მუშებს.

მენშევიკების საწინააღმდეგოდ ბოლშევიკები განიხილავდნენ საბჭოებს როგორც რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახებს. მოსკოვის საბჭო, რომელსაც სათავეში ბოლშევიკები ედგნენ, შეიარაღებული აჯანყების ორგანო გახდა. მტკიცე საბჭოები იყო აგრეთვე ივანოვო-ვოზნესენსკში და სხვა ქალაქებში.

გულგახეთქილმა მეფემ 13 (26) ოქტომბერს „ლიბერალი“ გრაფი ვიტე დანიშნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და ეხვეწებოდა მას ეპოვნა გამოსავალი მონარქიის გადასარჩენად.

ვ. ი. ლენინი 18 (31) ოქტომბრის სტატიაში „სრულიად-რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა“ აჯამებდა პირველ შედეგებს: „დანიშვნა ტაკიმასხარა მინისტრისა, რომელიც არწმუნებს მუშებს, რომ სრულიად-სახალხო დამფუძნებელი კრება „ახლა“ შეუძლებელია, ცხადად გვიჩვენებს რევოლუციურ ძალთა აღმავლობას და მეფის მთავრობის ძალთა დაცემას. თვითმპყრობელობას **უკვე** აღარ ძალუძს აშკარად გამოვიდეს რევოლუციის წინააღმდეგ. რევოლუციას **ჯერ კიდევ** არ ძალუძს გადამწყვეტი ლახვარი ჩასცეს მტერს“ (**ლენინი.** თხზ. ტ. VIII, გვერდი 333).

ქვეყნის მთელი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება გაფიცვამ მოიცვა. გაფიცვას მიემხრნენ სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებების მოსამსახურეთა მასები. გაფიცული იყო ფოსტა, ტელეგრაფი, ბანკები. დემონსტრაციები წითელი დროშებით სწარმოებდა რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში, პოვოლჟიეში, უკრაინაში, დასავლეთ გუბერნიებში, შუა აზიაში. ჯარები თავს ესხმოდნენ გაფიცულებს მოსკოვში, რიგაში, რეველში, ყაზანში, სამარაში, ოდესაში, თბილისში და სხვა ქალაქებში.

ნიკოლოზ II-ის ბრძანებით მეფის კარის მინისტრი ეკითხებოდა პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორ ტრეპოვს, თუ კიდევ რამდენი დღის განმავლობაში შესძლებდა იგი წესრიგის შენარჩუნებას პეტერბურგში. ამავე დროს მეფის კარის მინისტრმა გასცა განკარგულება მოემზადებინათ ჩასალაგებლად ჩემოდანები „მათი უდიდებულესობებისა“, რომლებიც ემზადებოდნენ საზღვარგარეთ „მოგზაურობისათვის“, ე. ი. უბრალოდ რომ ვთქვათ, რუსეთიდან გასაქცევად.

ვიტეს განკარგულებით უნივერსიტეტები დახურული იყო მიტინგებისათვის. ტრეპოვმა გამოსცა ცნობილი ბრძანება: „ვაზნები არ დაინანოთ“. მეფის ადმინისტრაცია გაძლიერებით ადგენდა შავ რაზმებს ქალაქის ნაძირალებისა, პოლიციელებისა და ჯაშუშებისაგან. პეტერბურგში ჩამოჰყავდათ ჯარები რეველიდან და პსკოვიდან.

17 (30) ოქტომბერს მეფემ ხელი მოაწერა ვიტეს მიერ შედგენილ მანიფესტს „მოსახლეობისათვის

ინგლის-გერმანიის ომი

შერბურგის ბომბარდირება ინგლისის ფლოტის მიერ

ლონდონი, 14 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისის სამხედრო გემებისა და ავიაციის მიერ შერბურგის ბომბარდირების თაობაზე, რაც 10 ოქტომბერს ღამით სწარმოებდა, ოფიციალურად ქვეყნდება, რომ, როგორც ინგლისის მზვერავმა თვითმფრინავებმა გამოარკვიეს, მძიმედ დაზიანებულია ობიექტები, რომლებმაც ბომბარდირება განიცადეს. შერბურგის რაიონში გემების მიმოსვლა მნიშვნელოვნად შემცირდა. ზოგიერთ გემში ხანძარი დღემდე გრძელდება. დიდი ზიანი მიადგა შერბურგის აეროდრომს.

ამერიკელი კორესპონდენტი ინგლისში არსებული მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთ „ბალტიმორ სენის" კორესპონდენტი, რომელიც დუვრსა და რამსგეტში ყოფილა, იუწყება, რომ დუვრში კინოთეატრები კვლავ მუშაობენ და რომ საქმიანი ცხოვრება არ დარღვეულა.

რამსგეტის ქუჩები ავსებულია შენობების ნანგრევებით. ხელუხლებელი დარჩა მხოლოდ რამდენიმე ქუჩა.

ინგლისის პრესა გერმანიის ავიაგამანადგურებელ-ყუმბარმშენების მოქმედების შედეგების შესახებ

ლონდონი, 14 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება: როგორც ავტორიტეტული წრეები აცხადებენ, გერმანელებმა თუმცა საჰაერო ბრძოლაში მძიმე დანაკარგის შესამცირებლად გააზარეს ავიაგამანადგურებლების მსუბუქ ყუმბარმშენებად გამოყენება, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში, რომელიც 12 ოქტომბერს დამთავრდა, ინგლისში წარმოებული ბრძოლის დროს გერმანიის ავიაციამ ინგლისისაზე მეტი თვითმფრინავი დაჰკარგა. ავტორიტეტული წრეები აცხადებენ, რომ ამ ერთი კვირის განმავლობაში ჩამოგდებულია გერმანიის 66 თვითმფრინავი, მაშინ როდესაც ინგლისის ავიაციამ 43 თვითმფრინავი დაჰკარგა და ამასთან ინგლისის თვითმფრინავების 26 მფრინავიც გადარჩა.

გერმანიის სამხედრო წრეების აზრი გერმანიისა და ინგლისის ავიაციის შესახებ

ვიში, 14 ოქტომბერი (საკდესი). შვეიცარიული გაზეთის „გაზეტ დე ლოზანის" ბერლინელი კორესპონდენტი გერმანიის სამხედრო წრეების კომპეტენტურ წარმომადგენლებს ესაუბრა გერმანიის ავიაციის მდგომარეობის შესახებ. კორესპონდენტმა ასეთი საკითხი დასვა: რად ჰგონიათ ბერლინში, რომ გერმანიის ავიაციას უპირატესობა აქვს ინგლისის ავიაციასთან შედარებით? კორესპონდენტს განუცხადეს: გერმანიას განზრახული აქვს მომავალშიც შეინარჩუნოს თავისი ავიაციის ამჟამად არსებული რიცხვობრივი უპირატესობა. გერმანიის საავიაციო მრეწველობას უფრო ფართო საწარმოო შესაძლებლობა აქვს. გერმანიის საავიაციო ქარხნების დეცენტრალიზაციის წყალობით, ინგლისელებს ერთობ უძნელდებათ მათი მუშაობის დარღვევა. ინგლისის ავიაციის თავდასხმებს ჯერ კიდევ გავლენა არ მოუხდენიათ გერმანიის საავიაციო მოტორების წარმოებაზე, მაშინ როდესაც გერმანიის ბომბარდირების შედეგად ინგლისის საავიაციო მოტორების წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა. რურის აუზში, რომელიც ინგლისის ავიაციის ხშირ თავდასხმას განიცდის, საავიაციო ქარხნები სულაც არ არის. ინგლისის ავიაციის სუსტი მხარე ის არის, რომ მას მრავალი ტიპის თვითმფრინავები აქვს, რაც სერიულ წარმოებას აძნელებს. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ გერმანიის სამხედრო წრეები ინგლისის თვითმფრინავების ხარისხს არ უარჰყოფენ, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გერმანიის თვითმფრინავები ინგლისისას სჯობიან სიჩქარითაც და შეიარაღებითაც. გერმანიის თვითმფრინავს „მესერშმიდტ 109" მეტი სიჩქარე აქვს, ვიდრე ინგლისის „სპიტფაირსა" და „ჰარიკაინს". გერმანიის მეორე თვითმფრინავის „მესერშმიდტ 110" უპირატესობას თვითონ ინგლისელი სპეციალისტებიც აღიარებენ. ამ გამანადგურებელს საათში 690 კილომეტრი სიჩქარე აქვს. თუმცა ინგლისის ავიაგამანადგურებლებს მეტი სამანევრო უნარი აქვთ, მაგრამ სამაგიეროდ გერმანული მანქანების მეტი სიჩქარე პილოტს შესაძლებლობას აძლევს მტერს აჯობოს. გერმანელ პილოტს თავის განკარგულებაში აქვს არა მარტო ტყვიამფრქვევები, არამედ ზარბაზანიც, რაც ინგლისის ავიაგამანადგურებელს არ მოეპოება. ინგლისზე თავდასხმის დროს გერმანიის ყუმბარმშენებს მუდამ თან ახლავან ავიაგამანადგურებლები, ინგლისის ავიაგამანადგურებლები კი შიდა გერმანიაში შესვლას ვერ ახერხებენ ერთობ დიდი მანძილის გამო. კორესპონდენტს განუცხადეს აგრეთვე, რომ ინგლისს ამერიკიდან შემოაქვს არასაკმაოდ მაღალი ხარისხის თვითმფრინავები და რომ ამერიკული თვითმფრინავების გამოყენება სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან რემონტისათვის საჭიროა სპეციალური სათადარიგო ნაწილები, ხოლო როცა ეს ნაწილები არ ჰყოფნით, თვითმფრინავი უსარგებლო ხდება. გერმანიის სამხედრო წრეები ფიქრობენ აგრეთვე, რომ გერმანელი მფრინავები ინგლისელ მფრინავებზე უკეთესად არიან გაწვრთნილნი.

ახალი ტიპის გერმანული ყუმბარები

ლონდონი, 14 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 13 ოქტომბერს ღამით თავდასხმის დროს გერმანელმა მფრინავებმა ახალი ტიპის ყუმბარები გამოიყენეს; ეს ყუმბარები ზომით დიდია და გატენილია მრავალი პატარა ცეცხლგამჩენი და ფუგასური ყუმბარით. ლონდონის ერთერთი გარეუბნის მცხოვრებნი აცხადებენ, რომ წუთზე ნაკლები ხნის განმავლობაში თექვსმეტი ყუმბარა სკდებოდაო.

ამერიკის საესკადრო ნაღმოსნები ინგლისს ჩავიდნენ

ლონდონი, 14 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ინგლისის ერთერთ ნავსადგურში ჩავიდა ამერიკის მიერ ინგლისისათვის გადაცემული საესკადრო ნაღმოსანთა ახალი რაზმი. როგორც ერთერთი საესკადრო ნაღმოსნის მეთაურმა განაცხადა, გემებს გზაში არავითარი ინციდენტი არ შემხვედრიათ და რეისის დროს გერმანიის თვითმფრინავები არ შეხვედრიათ. რამდენიმე დღის შემდეგ საესკადრო ნაღმოსნები კვლავ გავლენ სანაოსნოდ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოქმედი ძალების შემადგენლობაში.

ბულგარული გაზეთი სამხრეთ-დობრუჯის შესახებ

სოფია, 14 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „ზორა" აქვეყნებს სტატიას „რა მიიღო ბულგარეთმა სამხრეთ - დობრუჯის შემოერთებით".

სტატიაში აღნიშნულია, რომ ბულგარეთმა მიიღო 140 კილომეტრი სიგრძისა და 55 კილომეტრი სიგანის ტერიტორია, რომლის საერთო ფართობი 7.695 კვ. კილომეტრს შეადგენს. ამრიგად, მთელი ბულგარეთის ტერიტორიის ფართობი 103.146 კვ. კილომეტრიდან 110.841 კვ. კილომეტრამდე გაიზარდა. ბულგარეთის საზღვარი დუნაიზე 397-დან 471 კილომეტრამდე გაიზარდა, ხოლო საზღვარი შავ ზღვაზე 311-დან 394 კილომეტრამდე. სამხრეთ - დობრუჯაში არის 400 ათასი მოსახლე, მათგან (თუ მხედველობაში მივიღებთ ჩრდილოეთ-დობრუჯიდან გადმოსახლებულთ) 300 ათასამდე ბულგარელი, 100 ათასამდე თურქი და 30 ათასამდე სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი. ამრიგად, ბულგარეთის მოსახლეობა 6.400 ათასი კაციდან 6.800 ათას კაცამდე იზრდება. ბულგარეთმა მიიღო 6 ქალაქი და დაახლოებით 400 სოფელი, რომლებიც დაყოფილია 7 ოკოლად (რაიონად).

სტატიაში აღნიშნულია, რომ ბულგარეთმა მიიღო რკინიგზის ხაზები სიგრძით 67 კილომეტრი და 4 ნავსადგური დუნაიზე და შავ ზღვაზე. სოფლის მეურნეობის მხრივ ბულგარეთმა მეტად ნოყიერი ოლქი შეიძინა.

საფრანგეთის სამხედრო საკასაციო სასამართლომ ზეის აპელაცია უარკყო

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო კლერმონ-ფერანიდან (საფრანგეთი) იუწყება, საფრანგეთის სამხედრო საკასაციო სასამართლომ უარჰყო ყოფილი გენათლების მინისტრის ზეის აპელაცია. სამხედრო სასამართლოს მიერ ზეის მისჯილი აქვს საფრანგეთიდან გაძევება დეზერტირობის ბრალდების გამო.

ომი აფრიკაში

ლონდონი, 14 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან ჰგზავნის ინგლისის საჰაერო ძალების სარდლობის მიერ 13 ოქტომბერს გამოშვებულ ოფიციალურ კომუნიკეს: „გუშინ ჩვენი ავიაციის შენაერთებმა ყუმბარები დაუშინეს ბარდიის სამხედრო ობიექტებს. სულ ცოტა 6 ყუმბარა მაინც მოხვდა პირდაპირ ყაზარმებს. ძლიერი ბომბარდირება განიცადეს მტრის თვითმფრინავებმა მიწაზე, რომლებიც თავმოყრილი არიან ელ-ადემში. თვითმფრინავებს დიდი ზარალი მიადგათ. დერნის (ლიბია) ბომბარდირების შედეგად დიდი ხანძარი გაჩნდა ნავსადგურში. ერთი მძიმე ყუმბარა დიდ შენობას მოხვდა. ტობრუკზე ჩვენი ავიაციის თავდასხმის დროს ბევრგან გაჩნდა დიდი ხანძარი და მრავალი დიდი აფეთქება მოხდა. ნავსაყუდელში მდგომ გემებს ყუმბარები დაუშინა ავიაციამ. ყუმბარები მოხვდა საზღვაო ყაზარმებს. ასმარაში (ერიტრეა) კვლავ ბომბარდირებულ იქნა ორი ანგარი და აეროდრომი. გურაზე ორი თავდასხმის დროს ხანძარი გაჩნდა და ძლიერი აფეთქება მოხდა.

სამხრეთ-აფრიკის საჰაერო ძალებმა ახალი შორეული დაზვერვითი გაფრენა მოახდინეს. ამ ოპერაციების მონაწილე ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა".

ინგლისის სარდლობის მიერ 13 ოქტომბერს კაიროში გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია: „ფრონტებზე სრული სიწყნარეა".

ლონდონი, 14 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ადენიდან იუწყება, 13 ოქტომბერს დილით ქალაქის თავზე გამოჩნდა იტალიის ერთი თვითმფრინავი. ომის დაწყებიდან ეს მეთვრამეტე თავდასხმაა ადენზე. არც მსხვერპლი, არც ზარალი არ ყოფილა.

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობა

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" სწერს, რომ ევროპის ომი უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენს შეერთებული შტატების მრეწველობასა და ვაჭრობაზე. ევროპის ომის პირველი წლის განმავლობაში ექსპორტი ამერიკის შეერთებული შტატებიდან 4 მილიარდ დოლარს შეადგენს — 40 პროცენტით მეტს, ვიდრე ომის წინა ერთი წლის, განმავლობაში. სამხედრო მასალის ექსპორტი მნიშვნელოვნად გადიდდა, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანს. მაგალითად, ამა წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში ინგლისს გაგზავნა 104 თვითმფრინავი, მაშინ როდესაც მარტო აგვისტოში ინგლისს 278 თვითმფრინავი გაიტანეს. ივლისსა და აგვისტოში ინგლისმა ამერიკის შეერთებულ შტატებში 15 მილიონი დოლარის ზარბაზნები და საომარი მასალა შეისყიდა. მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე დაზგების, ინსტრუმენტების, რკინის, ფოლადისა და სხვა სამხედრო მასალის ექსპორტი ინგლისში. იმავე დროს ინგლისმა შეამცირა თავისი არასამხედრო შესყიდვა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს განსაკუთრებით შეეხება თამბაქოს, ხილს, ხორცს და სხვა პროდუქტებს, რის შტატნასაც ინგლისელები თავიანთი კოლონიებიდან ამჯობინებენ, რათა შეინარჩუნონ ვალუტა.

ძალიან შემცირდა ამერიკის ექსპორტი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ივლისსა და აგვისტოში ექსპორტმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან კონტინენტური ევროპის ქვეყნებში 15 მილიონი დოლარი შეადგინა შარშანდელი წლის იმავე პერიოდის 114 მილიონი დოლარის ნაცვლად. კანადის იმპორტმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ივლისსა და აგვისტოში 134 მილიონი დოლარი შეადგინა, 1939 წლის იმავე თვეების განმავლობაში კი 80 მილიონ დოლარს უდრიდა. ამერიკის შეერთებული შტატებიდან კანადის იმპორტში პირველ ადგილზე არის საავიაციო მასალა, დაზგები, ალუმინი, რკინა და ფოლადი.

იმავდროულად გადიდდა ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტი ლათინური ამერიკის ქვეყნებში, რომლებმაც დაჰკარგეს თავიანთი ბაზრები ევროპაში. ივლისსა და აგვისტოში ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტი ლათინურ ამერიკაში 120 მილიონ დოლარს შეადგენდა, შარშან ამავე პერიოდში კი ეს ექსპორტი 89 მილიონ დოლარს უდრიდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ბაზრების დაკარგვის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატებიდან ლათინური ამერიკის ქვეყნების იმპორტი აგრეთვე შეზღუდულია იმ ვალუტის უქონლობის გამო, რომელსაც ისინი იღებდნენ ევროპაში თავიანთი საქონლის ექსპორტის შედეგად. გაიზარდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან შორეული აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნების იმპორტიც, რომელიც ევროპის იმპორტს სცვლის. ზოგიერთი საქონლის ემბარგოს შემოღებასთან დაკავშირებით, იაპონიის მიერ საქონლის შესყიდვა ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენადმე შეიზღუდა, მაგრამ აგვისტოში იაპონიამ მაინც დიდძალი სპილენძი შეისყიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სამხედრო მასალის ექსპორტის გადიდებას თან ახლავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის მკვეთრი შემცირება. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" წინასწარმეტყველებს სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტის შემდგომ შემცირებას, განსაკუთრებით, თუ შეჩერებულ იქნა ბამბის მიყიდვა იაპონიისათვის. დასასრულ, გაზეთი აღნიშნავს, რომ ამერიკის ექსპორტი თავს იყრის მცირე რაოდენობის სამხედრო საქონლის გარშემო, რომელიც სულ უფრო მეტი რაოდენობით იგზავნება ინგლისში. ივლისსა და აგვისტოში ინგლისის წილი ამერიკის ექსპორტში ერთ მესამედზე მეტს შეადგენდა, შარშან კი ეს წილი ერთ მეექვსედს უდრიდა. ზოგიერთები წინასწარმეტყველებენ, რომ მომავალ წელს ინგლისის წილი ამერიკის ექსპორტში 50 პროცენტს გადააჭარბებს. უმნიშვნელოვანესი სამხედრო მასალა—საავიაციო და ფეთქებადი ნივთიერებანი, ზარბაზნები, დაზგები, სპილენძი, რკინა, ფოლადი—ივლისსა და აგვისტოში, შარშანდელი 25 პროცენტის ნაცვლად, შეადგენდა ამერიკის მთელი ექსპორტის 45-ზე მეტ პროცენტს. ამრიგად,—სწერს გაზეთი, — ცხადი ხდება, რომ ამერიკის საექსპორტო ვაჭრობა სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული ომისაგან.

საქართველოს პირველობა მძლეოსნობაში. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): თბილისელი ანტიპოვი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ხელყუმბარის ტყორცნაში, ჭოკით ხტომა; დაბლა გამარჯვებულნი ძმები დიაჩკოვები. კობილოვა (თბილისი), რომელმაც საუკეთესო შედეგს მიაღწია დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საქართველოს პირველობა მძლეოსნობაში

ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე სამ დღეს სწარმოებდა შეჯიბრება მძლეოსნობაში საქართველოს პირველობაზე. შეჯიბრების ყველა მონაწილე დაყოფილი იყო სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედიოდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის გუნდები, მეორეში—სამხრეთ-ოსეთის, ახალციხის, მახარაძისა და ფოთის გუნდები. ყველა დანარჩენი გუნდი მესამე ჯგუფში იყო. 400 მეტრზე რბენაში ქალთა შორის საუკეთესო შედეგს მიაღწია შეველევამ (თბილისი). რომელმაც ეს მანძილი გაირბინა 1 წუთსა და 06,1 წამში. 100 მეტრზე რბენაში ქალთა შორის საუკეთესო დრო გვიჩვენა სუხარევამ (თბილისი). თბილისელმა ათანელოვამ ბადრო სტყორცნა 36,34 მეტრზე, 80 მეტრზე ბარიერებიან რბენაში პირველი ადგილი გიაყვეს კოპილოვამ (თბილისი) და გილერმა (ბათუმი), რომლებმაც გვიჩვენეს თანაბარი შედეგი — 16,4 წამი. ჩატარებულ ესტაფეტში 4×100 პირველი ადგილი დაიკავეს თბილისის გუნდებმა (ვაუებისა და ქალებისამ). სევრიუკოვამ (თბილისი) ბადრო სტყორცნა 12,12 მეტრზე. ანტიპიევმა (თბილისი) შუბი სტყორცნა 55,67 მეტრზე.

საინტერესო იყო შეჯიბრება დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში. ამ სახის შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგს მიაღწია კოპილოვამ (თბილისი) — 41,4 წამი. მაყორტიანი მოუთმენლად ელოდნენ 5000 მეტრზე ვაჟთა რბენის შედეგს. ამ რბენაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს ჩემპიონი ამ დისციპლინაში ვერჩენკო (ბათუმი). რბენის დასასრულს პირველობის პრეტენდენტები აღმოჩნდნენ ვერჩენკო და ჯალალოვი (თბილისი). ფინიშთან დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება ხვდა ბათუმელს. ჭოკით ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა ვ. დიაჩკოვმა, რომელიც გადახტა 4 მეტრზე. მეორე ადგილზე გამოვიდა მისი ძმა ბ. დიაჩკოვი (ორივენი სსრკ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები არიან).

შეჯიბრება დამთავრდა. პირველი ადგილი დაიკავა თბილისის გუნდმა. შეჯიბრებამ გვიჩვენა შეჯიბრების მონაწილეთა ცუდი მომზადება. საქართველოს რაიონების გუნდები სუსტად მომზადებულები გამოვიდნენ. დროა, ბოლოს, საქართველოს სსრ საბჭოსაბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა სერიოზული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ ფიზკულტურის რაიონულ კომიტეტებს ცუდად აქვთ დაყენებული ფიზკულტურული მუშაობა. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ შეჯიბრების პირველ დღეს ყველა მონაწილე არ გამოცხადებულა შეჯიბრებაზე.

ვლ. გინზბურგი

ი. ს. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო

სოფელ ვარიანში

გორი, (საკდესი). სოფელ ვარიანი გამოჩენილი ქართველი პედაგოგის ი. ს. გოგებაშვილის სამშობლოა. სოფლის შუა გულში აღმართულია ორსართულიანი აივნიანი სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა ი. გოგებაშვილმა. სახლს მიდგმული აქვს მეორე შენობა, სადაც არასრული საშუალო სკოლაა მოთავსებული.

13 ოქტომბერს, დილისთ, გორიდან ვარიანს ჩავიდნენ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორები, მეცნიერი მუშაკები და სტუდენტები. მათ დაათვალიერეს ი. გოგებაშვილის სახლი, მისი პირადი ნივთები, ესაუბრნენ კოლმეურნეებს, რომელთაც პირადად სცნობიათ ი. გოგებაშვილი, გაეცნენ სოფელს.

შემდეგ ი. გოგებაშვილის სახლთან გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ კოლმეურნეები, ადგილობრივი სკოლის მოსწავლეები და ინტელიგენციის წარმომადგენლები. მიტინგზე ჩამოვიდნენ აგრეთვე გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი გ. ხარაუული, ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე ი. გვერდწოფელი, ლიტერატურული ფაკულტეტის დეკანი ა. ღლონტი, ი. გოგებაშვილის ძმისწული, უხუცესი პედაგოგი ალექსანდრე გოგებაშვილი.

მიტინგი გახსნა ვარიანის მშრომელთა დეპუტატების სოფლსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამბ. ბ. ნასყიდაშვილმა.

შეკრებილთ დიდი ინტერესით მოისმინეს პედაგოგ ალექსანდრე გოგებაშვილის მოგონება:

— ეს იყო 1899 წელს. ი. გოგებაშვილმა გამიწვია თბილისში და მითხრა, სოფელ ვარიანში სკოლა უნდა გაიხსნასო. იქვე გადმომცა 100 მანეთი საქერი ინვენტარის შესაძენად. გორში მწერალ ნიკო ლომოურის დახმარებით შევუკვეთე პარტები, მაგიდა, სკამი, შვედური სათვალელი და მოვაწყე სკოლა ი. გოგებაშვილის სახლში. თვითონ ი. გოგებაშვილმა სკოლას გამოუგზავნა სახელმძღვანელები და სასწავლო ნივთები. მე წოლად ძხედა დიდი პატივი—ცნობილი პედაგოგის სამშობლო სოფელში გახსნილი პირველი სკოლის პირველი მასწავლებელი გავხდი.

ჩაძის სკოლაში 23 მოწაფე სწავლობდა.

ახლა ჩვენ არასრული საშუალო სკოლა გვაქვს, სადაც 300 მოწაფე სწავლობს. ბევრმა, ვინც ეს სკოლა დაამთავრა, უმაღლესი განათლება მიიღო და თბილისსა და გორში მუშაობს. მათ შორის არიან პედაგოგები კ. კოკაური და მ. ქებაძე, აგრონომი გ. მეგრელიშვილი და სხვები.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ვარიანის სკოლის დირექტორმა ე. ზარქუამ და გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ლიტერატურული ფაკულტეტის დეკანმა ა. ღლონტმა.

სოფ. ვარიანი ენერგიულად ემზადება ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის. შექმნილია საიუბილეო კომისია ვარიანის სოფლსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ბ. ნასყიდაშვილის თავმჯდომარეობით. მოწაფეთა და კოლმეურნეთა შორის ეწყობა საუბრები ი. გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. იუბილესათვის გამოვა სკოლის კედლის გაზეთი, რომელიც მიეძღვნება ი. გოგებაშვილს. იუბილეს დღეს — 27 ოქტომბერს — სკოლაში გაიმართება ლიტერატურულ-მხატვრული საღამო, რომელზედაც მოწაფეები წაიკითხავენ ი. გოგებაშვილის „დედა ენასა" და „ბუნების კარში" მოთავსებულ ლექსებს და წარმოსთქვამენ დიდი პედაგოგისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსებს.

იუბილეს დღეებში საფუძველს ჩაუყრიან ახალ სკოლას, რომელსაც მიეკუთვნება ი. გოგებაშვილის სახელი. შენობის ასაგებად გამოყოფილია საუკეთესო ნაკვეთი.

გამოფენა „რეალისტური ხელოვნება 20 წლის განმავლობაში"

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირმა მოსკოვს გაგზავნა საქართველოს მხატვრების 22 ნაშრომი. ეს ნაშრომები გაიგზავნა გამოფენაზე „რეალისტური ხელოვნება 20 წლის განმავლობაში", რასაც სსრ კავშირის ხელოვნების საქმეთა კომიტეტი აწყობს ტრეტიაკოვის გალერიაში.

გაგზავნილ ექსპონატთა შორის არის: საბალხო მოქანდაკის ორდენოსან ი. ნიკოლაძის ნაწარმოები „სტალინი ჰაბუკობაში", ამხანაგ სტალინის სკულპტურული პორტრეტი (მარმარილო) შესრულებული ს. კაკაბაძის მიერ. ფერწერით შესრულებულ ნაწარმოებებში არის ა. გიგოლაშვილის ნახატი—„ქალ. თბილისი. საპრეზიდიუმოსი დემონსტრაცია ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით", ს. ნადარეიშვილის ნახატი—„ამხანაგი სტალინის დაკითხვა მათუმის საპატიმროს კანცელარიაში", ი. ვეფხვაძის ნახატი — „ამხანაგი სტალინის გამოსვლა ლიბერალების წინააღმდეგ 1905 წელს", ქ. მალალაშვილის ნახატი—ლ. პ. ბერიას პორტრეტი, აგრეთვე შ. მამალაძის, ე. ახვლედიანის, პ. ბლეტკინისა და სხვების ნაწარმოებნი. (საკდესი).

მშრომელთა დეპუტატების თბილისის 26 კომისრის სახ. რაისაბჭოს IV სესია

მშრომელთა დეპუტატების თბილისის 26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს IV სესია დაიწყება 17 ოქტომბერს, საღამოს სრულ 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახ. რაკომის სხდომათა დარბაზში, რაისაბჭოს დეპუტატების დასწრება საკალდებულოა.

მშრომელთა დეპუტატების 26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომი.

ლექცია

16 ოქტომბერს, საღამოს 8 ს. და 30 წუთზე, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში (მარის ქ. № 1) ქართულ ენაზე შესდგება ამბ. **ა. ნუცუბიძის** ლექცია **„საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ".**

ბილეთის ფასი 1 მან. ბილეთები იყიდება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტიული პროპაგანდის სახლში (ლენინის ქ. № 41).

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1541597, გაცემული არამ გრიგოლის-ძე **კარახანოვის** სახელზე, საკანდიდატო ბარათი № 2639599, გაცემული ნიკიფორე მიტროფანის-ძე **პაპელნუკის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ღღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: მოზარდ მაყურებელთა **ქართული თეატრი** — „წითელქუდა" (მე-11 ან.), **გრიბოედოვის** სახელობის— „ლევ გურიჩ სინიჩკინი" (მე-9 ან. მე-2 წარმ.), **სომხური დრამა** — „კიდევ ერთი მსხვერპლი" (მე-4 ან. მე-2 წარმ.).

კინოებში: **რუსთაველის** სახ. — „გრუნია კორნაკოვა", **დღისით** — „მეგობრები ბანაკიდან", **ოქტომბერი** — „უმზითვო პატარძალი", **დამკვრელი** (ზამთრის) — „ჩაპაევი", **დღისით** — „ჩაპაევი", **კომკავშირელი** (ზამთრის) — „ფედკა", **ლუქსემბურგის** სახ. — „ჩაპაევი", **სპარტაკი** — „კაინი და არტემი", **26 კომ.** სახ. (ზამთრის) — „ჩაპაევი", **კომინტერნი** — „სევანელი მეთევზეები", **განთიადი**—„ცირკი", **ვოროშილოვის სახ. კლუბი** — „მეთაურთა ახალგაზრდობა", **წითელი არმიის სახლი** — „ჩემი სიყვარული", **ახალი ამბები** — „ფეხბურთელები".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და გალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თ ე ა ტ რ ი

16 ოქტომბერს	17 ოქტომბერს	18 ოქტომბერს
1 ან. 1 წარმ.	მე-5 ან. 1 წარმ.	მე 9 ან. 1 წარმ.
ქარმენ	**ფრავიატა**	**ჩიო-ჩიო-სან**

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ.წ. სეზონი.

16 ოქტომბერს	17 ოქტომბერს	18 ოქტომბერს
ბოგდან ხმელნიცკი	**გრაფის ქვრივი**	**უდანაშაულო დამნაშავეები**

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო
თ ე ა ტ რ ი
1940-41 წ.წ. სეზონი.

16 ოქტომბერს	17 ოქტომბერს	18 ოქტომბერს
მადამ სან-ჟენ	**გიორგი საკაძე**	**ბედნიერება**

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

არტელ **„საბავშვო ავეჯის"** ლიკვიდკომი აცხადებს, რომ ა. წ. 20 ოქტომბერს (სოხუმის ქუჩა № 4) დანიშნულია არტელ

„საბავშვო ავეჯის" ქონების
საჯარო ვაჭრობა.

8329 **ლიკვიდკომი.**

განსახკომის ნებართვით ორჯონიკიძის სახ. რაიონის განათლების განყოფილებამ გახსნა ყველა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა

მოსამზადებელი კურსები
(ქართულ-რუსული სექტორი)

მსმენელთა მიღება სწარმოებს მე-57 სკოლაში, მელიქიშვილის ქ. № 2, ვერის ბაზრის ახლოს, საღამოს 7 საათიდან. ტელ. 3-22-66.

8348 **დ ი რ ე ქ ც ი ა.**

თბილისის ქალაქის აღმასკომის საფინანსო განყოფილება აცხადებს

სახლთმმართველებმა და კერძო სახლთმფლობელებმა საყურადღებოდ, რომ ისინი ვალდებულნი არიან 1940 წ. 15 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე წარუდგინონ სათანადო რაიონის საფინანსო განყოფილებას შემდეგი ცნობები დაწესებული საალრიცხვო ბარათების ნიმუშის მიხედვით:

1. იმ პირთა სიები, რომლებიც მათთან სცხოვრობენ და აქვთ დამოუკიდებელი შემოსავლის წყაროები გარდა ხელფასისა და პენსიისა.

2. სიები შინამრეწველებისა და ხელოსნების.

საფინანსო ორგანოებზე ზემოთაღნიშნული ცნობების დაწესებულ ვადაზე წარმოუდგენლობისათვის ის პირნი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამ ცნობების წარმოდგენისათვის, ჯარიმდებიან 100 მანეთამდე.

განზრახ არასწორი ცნობების წარმოდგენა გამოიწვევს დამნაშავის სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემას.

მოქალაქენი, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი შემოსავლის წყაროები (გარდა მუშების და მოსამსახურეების ციერ მიღებულ ხელფასისა), ვალდებულნი არიან წარუდგინონ რაიფინგანებს დეკლარაციები არა უგვიანეს 1941 წ. 15 იანვრისა, მათ მიერ 1940 წელს მიღებული შემოსავლის შესახებ.

დაწესებულ ვადაში დეკლარაციების წარმოუდგენლობის ან დეკლარაციებში არასწორი ცნობების შეტანის შემთხვევაში, დამნაშავე დაჯარიმდება 200 მანეთამდე.

150 **ქალაქ თბილისის საფინანსის გამგე მურჯიკნელი.**

დაკარგულია არტელ „სარეწაო ტრიკოტაჟის" მრგვალი ბეჭედი ჩ. გ. 8350

დაკარგულია არტელ „ინკოლექტივის" სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარებული დუბლიკატი, გაცემული 1939 წ. 11/VII № 79. ჩ. გ. 8354

დაკარგულია არტელ „ელმონტაჟის" სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარებული დუბლიკატი, გაცემული 1939 წ. 22/V, № 125. ჩ. გ. 8355

ინდუსტრიული ინსტიტუტის მექანიკური ფაკულტეტის V კურსის სტუდენტები იუწყებიან ამავე კურსის სტუდენტ მიხეილ ხოსიტაშვილის ძმის

**გოგი ვასილის-